

წიგნაკრები საქართველო

ლიტერატურული საქართველო * LITERATURULI SAQARTVELO * ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО

14 ივლისი 2023წ. №11 (4071) გამომცემის 92-ე წელი ვასი 2 ლარი



საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის ბანკალურ ღირსშესანიშნავი ბატონ გიორგი ქაქალიძის

ბატონო გიორგი, შესანიშნავად მოგეხსენებათ, რომ ეროვნულ ბიბლიოთეკას უდიდესი ღვაწლი მიუძღვის ქართული ეროვნული ცნობიერებისა და, საერთოდ, ეროვნული კულტურის განვითარების საქმეში. სავსებით სამართლიანი იყო გადაწყვეტილება, როდესაც მას ილია ჭავჭავაძის სახელი მიენიჭა. ამით ბიბლიოთეკამ შეიძინა ის სიმბოლური ნიშანი, რომელიც ყველაზე ზუსტად გამოხატავს მის სულიერ-კულტურულ შინაარსს. ისიც სიმბოლურია, რომ ამ საქმის სათავეში იდგა მწერალი, სახელგანთქმული კრიტიკოსი თამაზ ნივნივაძე.

2000 წლის მარტის დასაწყისში ჩვენი გაზეთის ფურცლებზე გამოქვეყნდა თამაზ ნივნივაძის მიმართვა საქართველოს პრეზიდენტისა და პარლამენტის თავმჯდომარისადმი, რომლებსაც სთხოვდა, რომ ეროვნულ ბიბლიოთეკას მინიჭებოდა ილია ჭავჭავაძის სახელი.

ბიბლიოთეკას ძველი, კარლ მარქსის სახელი მოხსნილი ჰქონდა და, ასე ვთქვათ, უსახელოდ იყო დარჩენილი. მიმართვას მოჰყვა ძალიან ფართო გამოხმაურება და 2000 წლის 25 მაისს გამოქვეყნდა საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება №206 საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკისათვის ილია ჭავჭავაძის სახელის მინიჭების შესახებ.


უთუოდ ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ თამაზ ნივნივაძე იყო პირველი მწერალი, რომელმაც საბჭოთა რეჟიმის არსებობის დროს გაზეთი კომუნისტური იდეოლოგიის პირდაპირი, მკაცრი კრიტიკა. მისი ცნობილი პამფლეტები - „ლოზუნების ქვეყანა“ და „გაიღვიძეთ, გრიზა ბიძია, დეპოში ვართ!“ - იყო ღია, დაურღვევებელი შეტევა კომუნისტური დიქტატურის წინააღმდეგ. აქედან გამომდინარე, გვაქვს წინადადება: ეროვნულ ბიბლიოთეკაში შეიქმნას თამაზ ნივნივაძის კაბინეტი.

ჩვენი აზრით, ბიბლიოთეკაში, სადაც არსებობს კომუნისტური ოკუპაციის მუზეუმი, უნდა არსებობდეს კომუნისტური იდეოლოგიის წინააღმდეგ მებრძოლი მწერლის კაბინეტიც. იმედია, გულისხმიერად მოეკიდებით ჩვენს წინადადებას. პატივისცემით -

გაზეთ „ლიტერატურული საქართველო“ რედაქცია

26 მაისს შემდეგ ლონდონის თეატრალური აუდიტორიის სულ უფრო მზარდ ყურადღებას იმსახურებს სპექტაკლი „პატრიოტები“, რომელიც ნოელ კაუადის თეატრში (Noel Coward Theatre) იდგმება და 19 აგვისტოს ჩათვლით დარჩება ვესტენდის ამ წამყვანი თეატრის სცენაზე.

„პატრიოტების“ ანუღა ლონდონში




პიტერ მორგანის პიესა გულგრილს ვერ ტოვებს მნახველს. ბრიტანელი მსახიობების ბრუნავი უცნობი, ბუნდოვანი და ბოლომდე დაუფერებელი ამბავი ცნაურდება სცენიდან. მსგავსი სამომხმარებლო ურთიერთობები, ასეთი უმომყალბო და სასტიკი ზრახვანი ადამიანის გასანადგურებლად შექსპირის ყველაზე სისხლიან პიესებში თუ ამოუკითხავთ.

21-ე საუკუნეში თითქმის დაუფერებელია, რომ ასე ყასბივით ჭრა და წონო

დასასრული. 83-2 83.

ქვეყნის გადასარჩევნის



ნიგინი მეგობარზე. ეს ისეთი რთული რამ არის, შეიძლება ცალკე ჟანრად გამოიყოს, როგორც საგანგებო მოვლენა, მკაცრი პასუხისმგებლობა, სამძიმო ტერორი.

ასეთ ნიგინეს მსაჯული და განმკითხავი ბევრი ჰყავს, ლუპით კითხულობენ, ქიურგის დანით სერავენ, პროკურორის სიმკაცრით აფასებენ. რატომ? იმიტომ, რომ მეგობარი წერს მეგობარზე. მით უმეტეს, თუ ორივე მწერალია...

ასეთი ნიგინეები - სხვადასხვა დროის, სხვადასხვა ფორმისა და სხვადასხვა დონისა - გვაქვს, ბევრი არა, მაგრამ, რაც არის, ფაქტია, ნიშნულია, ისტორიას ახსოვს, მეტ-ნაკლებად, რაღა თქმა უნდა.

ემზარ კვიციანიშვილის ნიგინი რეზო ჭიჭიშვილზე, მის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე, უფრო მეტზეც - მასთან მეგობრობის წლებსა და დღეებზე: „რეზო ჭიჭიშვილის გვერდით, I“, ქუთაისის საგამომცემლო ცენტრი, 2022, ბიოგრაფიული რომანი, როგორც ახლა უწოდებენ Non fiction-ებს, სინამდვილეში უფრო ალბათ ნიგინი მოგონებებისა, ფიქრებისა, დაკვირვებებისა, განცდებისა, შთაბეჭდილებებისა.

იოლად საკითხავი რთული ნიგინია, მრავალხმიანი, მრავალთემბატური, მრავალგანმტოებიანი. რა თქმა უნდა, პირველი შეხვედრით იწყება, სტუდენტობის პერიოდით, როდესაც 1954 წლის

სექტემბერში დაიწყო სწავლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე. პირველი ლექციები, პირველი შთაბეჭდილებები, პირველი აზრთა გაზიარებანი და დავით გამეზარდაშვილის გულმოდგინე ლექციები, გიორგი ჯიბლაძის „საშუალო ესთეტიკური“, ლეონ მელიქსეთ-ბეგის ხალისიანი მონოლოგები, სამხედროს ლექტორები - პოლკოვნიკი ტარასი ჯამი და პოლკოვნიკი ფანგანი, კურსელი გოგონები: რუსუდანი ცინცაძე, ირა ქერქაძე, ლაურა გრიგოლაშვილი, ლია ჩანტლაძე, ლუიზა ჭუმბურიძე...

შესავალ დოკუმენტალისტიკას ცვლის დრამატურული განხილვები - რეზო ჭიჭიშვილი და თეატრი, პარალელური გოგოლთან, „გუია ა“-ს ქვეტექსტები, შემდეგ ისევ ბიოგრაფიული ამბები, რეზოს მოსკოველი ბაბუა და სხვა რამეები, შეკრება ახალქალაქის სამხედრო ნაწილში, კინოსტუდიაში სამსახურის დანება, ჭიჭიშვილის ნათლობა, გასეირნებები დასავლეთ საქართველოში, შაბათობები, რეზოს „ორლესული“ ხუმრობანი და კვლავ განხილვა-განწხრეკანი - „მინების განწილება“, „ჩემი მეგობარი ნოდარი“, „ვაიმე, ჩემო ვენახო“, „მუსიკა ქარში“, „მეოთხე სიმფონია“, „რასემონი“, „ცისფერი მთები“, „კვამლი“. შიგადაშიგ ისევ ბიოგრაფიული დეტალები და ეპიზოდები.

ძველი მეგობრისთვის! მაღლობა უნდა ვუთხრათ ემზარ კვიციანიშვილს ამ საინტერესო, ავთენტურ კურს ნიგინის შექმნისთვის.

მაღლობას იმსახურებს ელგუჯა თავბერიძეც, რომელმაც შეუკვეთა ნიგინის დაწერა. გამოცემაზე არაფერს ვამბობთ.

იოლი არ არის 744-გვერდიანი ნიგინის დაწერა 87 წლის ასაკში. ამას სჭირდება ნებელობა, შთაგონება, ძლიერი სურთქვა. ეს ძალები საკმარისად აღმოაჩნდა ემზარ კვიციანიშვილს. და შექმნა ნიგინი, რომელსაც თავის დროზე ნაიკითხავს ყველა, ვისაც ოდნავ მაინც აინტერესებს რეზო ჭიჭიშვილის ცხოვრება და შემოქმედება.

**მომავლის
პროექტი**

ნტშირვი ანდრო ბადუკაქაძისთან

83.3

**ორი
მოთხრობა**

გიორგი შონია

83.8-9

**ვრანც
კაჭკაჭა**

რუსლან ღვინეშვილი

83.11

**პოეტის
ერთი
ლექსი**

ტირა შალაშვილი

83.12


**რას
პარჩინა
ბალანდინს?**

გაზეთ „ბარდინიანს“

83.15

პირველი გვერდიდან

შენი სახელმწიფოს ბედი და მისი მომავალი დაუკავშირო რამდენიმე მილიარდერს, რომელთა ფინანსური შესაძლებლობები უკიდურესად ფუფუნებისა და უსაფრთხო ცხოვრების გარანტიას აძლევს რუსულ



ისტებლიშმენტს. ისინი დღესაც სტალინური მეთოდით მართავენ საზოგადოებას: არ არის ადამიანი, არ არის პრობლემა!

მათ არც საკუთარი ქვეყნის ადამიანები აინტერესებთ და მით უმეტეს, რას დაგიდევნ მუშობელი სახელმწიფოების ინტერესებს. ის, რაც უკრაინაში ხდება ბოლო ერთი წლის განმავლობაში, საუკეთესოდ აჩვენებს რუსული პოლიტიკის მტაცებლურ და დამანგრეველ ბუნებას.

პოლიტიკური თეატრი ზოგადად უყვართ ლონდონში და უიმისოდ არ მახსენდება, რომელიმე სეზონს ჩაეგლოს.

„პატრიოტებს“ თავისი ტრიუმფი-რატი ჰყავს პუტინის, ბერეზოვსკისა და აბრამოვიჩის სახით. დრამატურგისა და რეჟისორის გადაწყვეტით,



აქ მთავარი ფიგურა ბორის ბერეზოვსკია – პოსტსაბჭოთა რუსეთის მთავარი არქიტექტორი. ტომ ჰოლანდერი საოცარი ნიუანსებით ასხამს ხორცს ამ ურთულეს ხასიათს. ვილ კენი ვლადიმერ პუტინს განასახიერებს, ლიუკ თელონი კი რომან აბრამოვიჩს. სამივე წამყვანი მსახიობია არა მარტო ვრცელი ტექსტების გამო, არამედ ნამდვილი ტრიუმფატორები არიან თავიანთი სასცენო აზროვნებით, ხასიათის ძველწიგის ფილიგრანული ოსტატობით. ინგლისის უდიდესი მსახიობი ჯონ გილგუდი მუდამ ჩიოდა, რომ ყველაზე რთული რუსული ხასიათის შექმნა სცენაზე. იგი მთავარ როლებს თამაშობდა ჩეხოვის პიესებში და ბოლომდე არასოდეს ყოფილა კმაყოფილი. რუსულ ხასიათს იგი დაუძლეველად თვლიდა. ეს მართლაც ასეა. თუმცა აღსანიშნავია, რომ ინგლისური თეატრი ნამდვილად წინ წავიდა ამ მიმართულებით. იმდენად ბრწყინვალეა ამ ხასიათების გახსნაში სამივე მსახიობი, რომ თვით გილგუდსაც რომ ენახა, აღფრთოვანებული დარჩებოდა.

„თუ პოლიტიკოსებს არ შეუძლიათ რუსეთის გადარჩენა, მაშინ ჩვენ, ბიზნესმენებმა, უნდა შევძლოთ. ჩვენ არა მხოლოდ პასუხისმგებლები, არამედ მოვალენი ვართ გავხდეთ რუსეთის გმირები“.

ასე მოძღვრავს ტომ ჰოლანდერის გმირი რუსეთის წამყვანი პოლიტიკოსებს. ვილ კინის პუტინი, სანამ სანადელს მიაღწევდეს, გაფაციცებით უსმენს და მიჰყვება ბერეზოვსკის რჩევებს და გათვლებს. მაგრამ როცა რუსეთის პირველი კაცი ხდება, იგი უმაღ უპირისპირდება თავის

მოქანდაკეს, რომელსაც სურს, ხელშეუხებელი ავტორიტეტის მანტია შეინარჩუნოს და საკუთარ ნებაზე მართოს მოვლენები. თუმცა, პუტინი იმდენად ნიჭიერი მონაფე გამოდგება, რომ რუსეთის გმირობა ყველა ბიზნესმენს და ოლიგარქს ერთად ჩამოართვა და პერსონალურად მოირგო. და აგერ ორი ათეული წელიწადია, ვიუტად უმტკიცებს თავის „სიბრძნეს და სიმართლეს“ მთელ დედამიწას...

თუმცა, როგორც შექსპირი ბრძანებს: „ბოროტება ვერსად წაუვა დღის სინათლეს, თუნდ დასაცავად დედამიწა გადაეფაროს“.

მართალია, ბერეზოვსკი საკუთარი ნებით განერიდება სიკვდილის ბუდეს, მაგრამ ბოროტებას მაინც ვერ გადაურჩება და მას ათასობით

კილომეტრს მიღმაც მისწვდება ულ-მოხელი შურისძიება!

თუმცა, ლონდონელთა სპექტაკლი აქ არ მთავრდება, იგი იმაზე ფიქრით გრძელდება, რომ სიკვდილის კალო, რაც რუსეთმა მეზობელ ქვეყანას დასვეს საკუთარ ახალგაზრდა თაობას დაატეხა თავს, შეუძლებელია, დაუსჯელი დარჩეს, ურმით მავალი სამართალი და განგება თავისას იტყვის და ერთად იზეიმებს.

„პატრიოტები“ უძლიერესი სასცენო წარმოდგენაა და შესანიშნავი მონაპოვარი იქნება, რომ იგი ჩართონ თბილისის საერთაშორისო ფესტივალის პროგრამაში. ანდა, რატომ არ შეიძლება, საქართველომ შეიძინოს საავტორო უფლება დრამატურგ პიტერ მორგანის სააგენტოსგან, რათა ქართულმა თეატრმა მოიპოვოს მისი დადგმის უფლება? თუკი, 45 წლის წინათ რუსთაველის თეატრი დგამდა შატროვის პიესას „ლურჯი ცხენები ნითელ ბალახზე“, სადაც ლენინს თავზე ცივ წყალს ასხამდნენ! სად წავიდა ეს სითამამე და რატომ გაქრა ნოვატორობის მძაფრი სურვილი ქართულ თეატრში?! ერთობ აქტუალური და დამაფიქრებელი ამბავია.

გიორგი ლალიაშვილი
ლონდონიდან

რაინდოგის წესის იედად

ლია ნარილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს, ბატონ გიორგი ამილახვარს

ბატონო გიორგი! დიდი პატივისცემით მოგესალმებით და გულწრფელად გილოცავთ ჩვენი ქვეყნის უპირველესი მინისტრის თანამდებობაზე დანიშნვას, უპირველესის, რადგან ქვეყნის მომავალი სწორედ განათლების სფეროში იჭედება. თქვენ, ალბათ, იმის შესხენება არ გჭირდებათ, რომ ქვეყნის ხვალისდელი დღე იქნება ისეთი, როგორ თაობასაც ვზრდით დღეს.

ამ უმნიშვნელოვანეს პოსტზე თქვენი დანიშვნა უფრო იმიტომაც გამიხარდა, რომ დიდი ქართველი რაინდების, ამილახვარების გვარს ატარებთ და იმედი მომეცა იმისა, რომ რაინდულად შეებებით იმ სიძნელეებს, რაც დღეს განათლების დარგის წინაშე დგას.

ბატონო გიორგი, იცით, რომ სკოლა (და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებიც!) ინოვებოდა და ახლაც ინოვება ღირსეულ ქვეყნებში სასწავლო-აღმზრდელობით დაწესებულებად, გვექონდა და სხვებს ახლაც აქვთ სწავლებისა და აღზრდის კონცეფციები. სასწავლო და აღმზრდელობითი სისტემები. ახლა? ჩვენი განათლების სისტემას აქვს აღზრდის სისტემა? ან კონცეფცია? დამეთანხმებით, ალბათ, რომ არ აქვს? მაშ, ჩვენ არ ვიცით, ვის ვზრდით? თქვენ, როგორც მინისტრი, არ მეტყვიით, არ ვიცითო და მე მესმის თქვენი. ნეოლიბერალური დღის წესრიგი, რომელიც კარგა ხანია განათლების სფეროში გვკარნახობს, რომ ჩვენ ვზრდით თავისუფალ პიროვნებას, რომელიც იქნება ტოლერანტული, კრიტიკული აზროვნების მქონე, ყოველგვარი კომპლექსებისაგან თავისუფალი, გლობალური ინტე-

რესების ერთგული, კაცობრიობის განუყოფელი წევრი.

კი, არის ამ ყველაფრის განხორციელების მცდელობა გლობალური პროპაგანდა და სახელმწიფო პოლიტიკის საფუძველზე, მაგრამ ყოველგვარი პროგრამებისა და კონცეფციების გარეშე, ანუ სტიქიურად მართული პროცესების მეშვეობით. თუ მართული სტიქიურია, მაშინ მართული როგორღა არისო, – შეიძლება მეთხოვთ თქვენ. არის, იმიტომ, რომ საზოგადოებას არ შეუძლია გააკონტროლოს ცალკეული ნეოლიბერალური იდეოლოგიის ადებტებისა, თუ სულაც მერკანტილური ინტერესებით მოტივირებული სუბიექტების ინიციატივები. მაგალითად, ახლახან „კოკა-კოლას“ მფლობელმა ჟოზეფ ბლათმა „მეცნიერულად“ შესულ ბავშვებსა და მათ მშობლებს დაუთვია გეიპროპაგანდისტული საბავშვო ილუსტრირებული წიგნები.

ასეთ ზნეობრივ დივერსიებს სხვაგან და სხვა დროსაც ჰქონდა ადგილი. ყველაზე აღმაშფოთებელი კი ის არის, რომ თითქოს აღმფრთხილები ხელისუფლება მორიდებით სთხოვს ამ ზნეობრივ დივერსანტებს, აღარ გაიმეორონ მსგავსი მოქმედება.

რაც შეეხება ზემოაღნიშნულ მიზნებსა და ამოცანებს, რაც სკოლას ნეოლიბერალურმა დღის წესრიგმა დაუწესა, საერთო არაფერი აქვს პიროვნების სოციალურ განვითარებასთან, პირიქით, დიამეტრულად ეწინააღმდეგება სოციალური განვითარების მეცნიერულ პრინციპებს და ფსიქოლოგიის დებულებებს.

ქართველებს არავისგან ესწავლებათ ტოლერანტობა და შემწყნარებლობა, მეტიც! მოჭარბებულიც კი გვაქვს სტუმრისა თუ, საერთოდ, უცხოელების მიმართ პატივისცემა და დაფასება, მაგრამ

ის, რომ მოსწავლეებს ავინყებენ საკუთარ ვინაობასა და სადაურობას, სამშობლოს წინაშე ადამიანის უკვდავ მოვალეობას, არ ზრდის მათში სამშობლოს ერთგულებისა და თავდადების გრძნობას, ეს არის უპატივებელი დანაშაული ქვეყნის აწმყოსა და მომავლის წინაშე, ნეოლიბერალების ის ყალბი „პრინციპი“, რომელიც საქართველოს პარლამენტის ტრიბუნადან გაახმოვანა პარლამენტის იმდროინდელმა სპიკერმა უსუფაშვილმა – „მე და ჩემი მეუღლე იმას კი არ ჩავაგონებთ ჩვენს შვილებს, სამშობლოს შესწიროს თავი, არამედ თავისუფალ პიროვნებად ვზრდით, რომლებიც შემდეგ თვითონ გადაწყვეტენ, ვის შესწირონ თავი“-ო – დამლუპველია.

ამიტომ, ბატონო გიორგი, თქვენ, როგორც თქვენს რაინდულ გვარს ეკადრება, გარე თუ შიგა მტრების მუქარის მიუხედავად, უნდა დაუბრუნოთ სკოლას აღზრდის მეცნიერული კონცეფციაზე დაფუძნებული სისტემა.

ამას გარდა, მხოლოდ თქვენ მიერ ინიცირებულ საკანონმდებლო ინიციატივას ვერ უგულებელყოფს პარლამენტი, თორემ კონსერვატიულმა პარტიამ სრულიად უშედეგოდ შეიტანა პარლამენტში კანონპროექტი ლგბტ პროპაგანდის აკრძალვის შესახებ. თქვენ უნდა გააკეთოთ ეს, რათა შეაჩეროთ ჩვენი მომავალი თაობის, ანუ მთელი ერის გადაგვარების მოსურნენი. ახლა მოცდის დრო აღარ არის, თუ თქვენ ამას არ გააკეთებთ, მაშინ ეს იქნება სამშობლოს წინააღმდეგ მიმართული უმოქმედობა.

დარწმუნებული ვარ, ამილახვარი რაინდულად მოიქცევა, როგორც მისი დიდი გვარისშვილები იქცეოდნენ წარსულში!

**დიდი პატივისცემით –
ზურაბ ცუცქერიძე**
პედაგოგიკის დოქტორი, განათლების მეცნიერებათა აკადემიის წევრი

ნაპეისა და ლიკსაის გზებზე

15 ივნისს მწერალთა სახლში გაიმართა დოქტორ ხიმშიაშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო.

საბავშვო მწერალი, მთარგმნელი, ისტორიკოსი, მრავალი წიგნის ავტორი და ჩვენი მწერლობის მოამაგე დოქტორ ხიმშიაშვილი-ვადაჭკორია 1923 წლის 15 ივნისს დაიბადა არაგვის ერისთავთა შთამომავლების ოჯახში. მძიმე, ტყვილიანი, მაგრამ ხანგრძლივი და ნაყოფიერი იყო მისი ცხოვრება. პირველი



მოთხრობა 1950 წელს გამოაქვეყნა მეუღლის, სიკო ვადაჭკორიას, გვარით. ამის მიზეზი იყო პოლიტიკური ბრალდებით რეპრესირებული ძმა კოტე ხიმშიაშვილი. 1959 წლიდან რეგულარულად აქვეყნებდა საბავშვო მოთხრობების კრებულებს. ქალბატონი დოქტორად თანამშრომლობდა საბავშვო ჟურნალ „დილასთან“. 2017 წელს დაჯილდოვდა მწერალთა სახლისა

განსხვავება

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქცია აცხადებს კონკურსს პოეზიაში.

საკონკურსო მასალა იგზავნება დევიზით (დევიზი უნდა მიეთითოს როგორც კონვერტზე, ასევე შიგთავსზე):

ერთი კონვერტით იგზავნება – საკონკურსო ლექსები, მეორე კონვერტით – ავტორის გვარი და სახელი, მისამართი, საკონტაქტო ტელეფონი, ლექსების სათაურები (როგორც კონვერტზე ასევე ლექსებზე არ უნდა მიეთითოს ავტორის ვინაობა).

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია საქართველოსა და

უცხოეთში მცხოვრებ ყველა მოქალაქეს, გარდა გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქციის თანამშრომლებისა, სარედაქციო საბჭოს წევრებისა და ჟიურის წევრთა ოჯახის წევრებისა.

- დაწესებული პრემიები:**
- პირველი პრემია** – 1500 ლარი – ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიისაგან;
- მეორე პრემია** – 1000 ლარი – კერძო პირ ელდარ ალიევისაგან;
- მესამე პრემია** – 600 ლარი – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისაგან;
- მეოთხე პრემია** – 400 ლარი – თსუ მორფოლოგიის ინსტიტუტისაგან.

და კულტურის სამინისტროს მიერ დაარსებული იაკობ გოგებაშვილის სახელობის პრემიით – საბავშვო ლიტერატურის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის.

ამ და სხვა კიდევ უფრო საინტერესო თემებზე იყო საუბარი საიუბილეო საღამოზე, რომელსაც უძღვებოდა ჟურნალისტი ივანე ჯაფარიძე. მწერლის შემოქმედებასა და პიროვნულ ღირსებებზე ისაუბრეს მწერლებმა: მაყვალა გონაშვილმა, როსტომ ჩხეიძემ, ნინო ჩხიკვიშვილმა, თამარ შაიშველაშვილმა, ნონა კუპრეიშვილმა, ზაზა აბზიანიძემ, ბალათერ არაბულმა, ემზარ კვიციანიშვილმა, ზაალ ბოტკოველმა და ირმა მალაცხიძემ.

საიუბილეო საღამოს ამშვენებდა დოქტორ ხიმშიაშვილი-ვადაჭკორიას საიუბილეო ფოტოკოლაჟი.

ბელა ცინცაძე

საკონკურსოდ იგზავნება მხოლოდ გამოუქვეყნებელი ლექსები არა უმეტეს ხუთისა, ნაბეჭდი ფორმით.

კონკურსში გამარჯვებულთა დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი გაიმართება სოფელ რუსთაში, ტრადიციულ „პოეზიის სახალხო დღესასწაულზე“ – შოთაობაზე.

საკონკურსო ლექსების მიღების ბოლო ვადაა 2023 წლის 1 სექტემბერი და იგზავნება შემდეგ მისამართზე:

0500, ასპინძის მუნიციპალიტეტი, დაბა ასპინძა, თამარის ქ. N3.

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქცია.

საკონტაქტო ტელ.: 599979524

მართლაც უნიკალური პროექტი წამოიწყო „ილიას ფონდმა“. ეს არის პრემია „საგურამოს“ ლაურეატების თხზულებათა სრული კრებულების გამოცემა. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ „საგურამოს“ ლაურეატთა რიცხვი ორასს აღწევს, უფრო ამბიციური პროექტის წარმოდგენა შეუძლებელია, ყოველ შემთხვევაში, საქართველოს მასშტაბით მაინც.

გვესაუბრება „ილიას ფონდის“ დამფუძნებელი, საგურამოს ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო სახლ-მუზეუმის დირექტორი ანდრო გულუაძე.

– როგორ გაჩნდა იდეა პრემია „საგურამოს“ ლაურეატების თხზულებათა სრული კრებულების გამოცემისა?

– პრემია „საგურამო“ 2003 წელს დაარსდა. წელს პრემიას 20 წელი შეუსრულდა. ამ თარიღის აღსანიშნავად იმაზე კარგი ფორმა, როგორც მისმა დამფუძნებლებმა მოვიფიქრეთ – გამოგვეცა პრემიის ლაურეატების თხზულებათა სრული კრებულები, არ მგონია სხვა რამ ყოფილიყო. ვიცი, რომ ყველა მწერლისა და მეცნიერის სანუკვარი ოცნებაა, იხილოს თავისი ნაღვანი სრული სახით გამოცემული. ჩვენ ვცდილობთ, ამ ოცნების ახდენაში დავეხმაროთ ცოცხალ ავტორებს, ხოლო გარდაცვლილებს – პატივი მივაგოთ.

– როგორც ჩანს, ეს არ არის აკადემიური გამოცემა, სამაგიეროდ, არის სრული. ეს ხომ არ ნიშნავს იმას, რომ ამზადებთ მასალებს მომავალი აკადემიური გამოცემებისთვის?

– მართალი ბრძანდებით. ეს გამოცემა არ არის აკადემიური, მაგრამ არის სრული. ერთი რამ წინასწარ უნდა ითქვას: ზოგიერთ მემკვიდრეს, ანდა თვითონ ავტორსაც, მიაჩნია, რომ რომელიმე ტექსტის დაბეჭდვა აღარაა საჭირო გარკვეული მიზეზების გამო. ვფიქრობ, ეს მცდარი აზრია და აი, რატომ. მწერლის ნაშრომს ყოველთვის ამჩნევია დროის, ეპოქის ტიფარი. მას ეს სურდა თუ არ სურდა, იგი მაინც ასახავს იმ დროსა და გარემოს, რომელშიც მოღვაწეობს და როდესაც ჩვენ გვსურს მწერლის ეპოქის სრულად აღდგენა, გაგება, შეიძლება მისგან დაწუნებულმა ნაწარმოებმა საერთო სურათს აუცილებელი შტრიხი დააკლოს. პრემია „საგურამოს“ ლაურეატები მშობარა ხალხი არ არის და ნურც ნურავის აფიქრებინებენ, რომ მათ საკუთარი წარსულის ემინათ. ეს უმეტესად მაინც მემკვიდრეებს ეხებათ.

– სულ დაახლოებით რამდენი ავტორის გამოცემა მოგინებ?

– როგორც უკვე აღვნიშნეთ, პრემია „საგურამო“ უკვე ოცი წელია, არსებობს და გაიცემა შემდეგ ნომინაციებში: პროზა, პოეზია, კრიტიკა, პუბლიცისტიკა, თარგმანი, საბავშვო მწერლობა, ჰუმანიტარული მეცნიერებანი, ხელოვნება და ერთი ილიას მედალი „მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთან“ „ქართული კულტურისა და სულიერების წინაშე განსაკუთრებული ღვაწლისთვის“. ახლა ეს ყველაფერი ოცჯერ გამრავლებული, ლაურეატთა სოლიდური რაოდენობა გამოდის. მით უფრო, რომ ერთი და იგივე ავტორი პრემიას ორჯერ არ იღებს.

– როგორც ვაფიქრობ, ეს არის პროექტი, რომელსაც ბოლო არ აქვს. ანუ სანამ პრემია „საგურამო“ იარსებებს, პროექტიც იქნება?

– პრემიის დამფუძნებლები არიან „ილიას ფონდი“ და „ლილო მოლი“. ეს უკანასკნელი ჩვენი ფინანსური უზრუნველყოფელია და დღემდე არაფერი შეგვიტყვია მათთვის ისეთი, რომ ოცნლიანი პრემიის მომავლისთვის საფრთხეს შეიცავდეს. ასე რომ, ლაურეატთა რიცხვი ფრიად გაიზარდა.


– რა სიძნელებს აწყდებით ტომეულების მომზადებისას?

– ლაურეატთა ტომეულების გამოცემა ადვილიცაა და რთულიც. ადვილია იმდენად, რამდენადაც ბევრი ავტორი ცოცხალია და მათთან ერთად ხერხდება მასალის შეგროვება, ზოგიერთს ყველაფერი ერთად აქვს თავმოყრილი, ელექტრონული ვერსიაც კი. ზოგს ამგვარ გამოცემაზე არც უოცნებია და ყველაფრის ერთად თავმოყრაზეც არ შეუწუხებია თავი. ზოგს თავისი ნაწარმოებიდან ის მოსწონს, რაც შეიძლება არც ისე მოსაწონია და ასე შემდეგ. სხვა სირთულეა, მაგალითად, ბაჩანა ბრეგვაძის უზარმაზარი მემკვიდრეობის თავმოყრა, ტომებად დალაგება. ასარჩევი იყო ამ უამრავი ნაირგვარი მასალის ტომებში გადანაწილე-

ბის პრინციპი. წარმოდგინეთ, ოცდახუთ ტომს ასცდა მისი ლიტერატურული მემკვიდრეობა. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ თითო ტომი 450 გვერდზე ნაკლები არ უნდა იყოს. სიძნელე ერთია, მაგრამ საქმე იმდენად აზარტულია, რომ ვერ წარმოდგინეთ. პროექტი ხომ უნიკალურიცაა თავისი მასშტაბით, ჟანრობრივი მრავალფეროვნებით.

– ვიცით, რომ გამომცემელი არის ილიას ფონდი. სტამბაც ყველა შემთხვევაში ერთი იქნება?

– ბიბლიოთეკის ყველა წიგნი დაიბეჭდება „საარში“. საზოგადოებამ იცის, მაგრამ სიამოვნებით მიიღა გავიშეო-



მოგაპლის პროექტი

რო, რომ ლევან თითმერია არის უნიკალური მესტამბე-გამომცემელი. იგი არის სარედაქციო კოლეგიის წევრი და ჩართულია სულითა და გულით ამ წიგნების დაბეჭდაში. პროექტის მონაწილეთა შორის ყველაზე დიდი ენთუზიასტი მგონი, ის არის.

– თქვენი აზრით, საგურამოს ბიბლიოთეკა რას მოუტანს ჩვენს ლიტერატურას?

– რწმენას იმისას, რომ მათ ღვანლს აფასებენ, ვგულისხმობ მწერლებს, ქართველ მკითხველს კი გაუადვილებს, მთლიანობაში გაეცნონ თავიანთ საყვარელ მწერლებსა და მეცნიერებს.

– დაქვევა, ჭოჭმანი, სკეპტიციზმი – საზოგადოებაში ასეთი რამ ხომ არ შეგინიშნავთ თქვენი პროექტის მიმართ?

– კი. სკეპტიციზმი საჭირო ხალხია. ისინი ოპტიმისტებს მარტო ხალხის კი არ უკარგავენ, ბრძოლის უნითაც განაწყობენ. პესიმიზმი მოგებულა ნებისმიერ შემთხვევაში: თუ საქმე არ გამოვა, იტყვის, ხომ ვამბობდით და თუ გამოვა, რა კარგია, რომ შეეცდიო.

– უკვე გამოცემა აკადემიკოს რევაზ სირაძის შრომების ექვსტომეული. როგორ შეხვდა მას მკითხველი საზოგადოება?

– მომწონებელი საკმაოადა, დამწუნებელი – ჯერჯერობით არავინ. გაეცნობა საზოგადოება, ნაიკითხავს და ვნახოთ, დაველოდებით. ისე, რომ იცოდეთ, სანამ ამ ინტერვიუს მოგამზადებდით, გარდა რევაზ სირაძის ექვსტომეულისა, უკვე დაიბეჭდა ლევან ბრეგვაძის ატომეულის პირველი სამი ტომი. მიიღა ორიოდე სიტყვით ვთქვა რევაზ სირაძის ღვანლზე: ბატონი რეზო იყო არაჩვეულებრივი ჰუმანიტარი. მან გამოკვეთა თავისი მასწავლებლის, კორნელი კეკელიძის, ნაშრომებში ჩანასახის სახით არსებული ლიტერატურული ნაზრევი, განავითარა და შექმნა მყარი საფუძველი სამომავლოდ ქართული ლიტერატურის თეორიულ-ესთეტიკური შესწავლისთვის. ქართული ლიტერატურის რიგანი მცოდნე ვერც კი წარმოიშობებოდა რევაზ სირაძის ნაზრევის, ცოდნის გარეშე.

– პირადად თქვენ როგორ აფასებთ ამ ექვსტომეულს, განსხვავებული რაკურსით ხომ არ წარმოჩნდა ბატონი რევაზ სირაძის სამეცნიერო ღვაწლი?

– ვფიქრობ, ამ კითხვას ნაწილობრივ ვუპასუხე. ერთს დავამატებ: ერთად თავმოყრილი რევაზ სირაძე პირველად გამოიცა. ვეჭვობ, მკითხველს ყველა ის წერილი ანდა ინტერვიუ, რომლებიც გაფანტული იყო სხვადასხვა სამეცნიერო, მხატვრულ თუ საგანმანათლებლო პერიოდიკაში, ნაკითხული ჰქონდეს. ახლა კი დაინტერესებული მკითხველი ყველაფერს ერთად თავმოყრილს ნახავს. მათ შორის, ბატონი რეზოს მიერ შესრულებულ მეგობრულ შარჟებსაც.

– ამქვეყნიდან წასული ავტორების შემოქმედებასთან ერთად გამოიცემა ცოცხალი ავტორების ტომეულებიც. ამით რაიმე უხერხულობა ან წინააღმდეგობა ხომ არ იქნება?

– ისეთი არაფერი, გადალახვა რომ შეუძლებელი იყოს. პირიქითაცაა ხშირ შემთხვევაში. ზემოთ აღვნიშნე, რომ უკვე დაიბეჭდა ლევან ბრეგვაძის ატომეულის სამი ტომი. კრიტიკოსისთვის ამ მოცულობის ნაშრომები არავის გამოუქვეყნებია, ყოველ შემთხვევაში, საქართველოში. ლევანმა ეს ათივე ტომი სასტამბოდ თავად მოამზადა, ასევე არიან სხვა ცოცხალი ავტორებიც. მაგრამ მოგეხსენებათ, ყველა ასეთი მონესრიგებული ავტორი არაა. ერთი სიტყვით, სამუშაო პროცესი სამუშაო პროცესია. რთულთან ერთად სახალისოცაა. ამ მწერალთა და მეცნიერთა მეტ-ნაკლებად სრული კრებულები ხომ პირველად გამოიცემა.

– როგორ არის დადგენილი თითოეული მრავალტომეულის ტირაჟი. ყველასთვის თანაბარია, თუ კომერციული თვალსაზრისით განისაზღვრება?

– ჩვენი გამოცემების ტირაჟი დიდი არაა. საერთოდაც, დღევანდელი ტირაჟები, არა მარტო საქართველოში, მცირეა. ეს, ალბათ, კანონზომიერია, რადგანაც ქვეყნის მკითხველი, განათლებული ადამიანი და არა დიპლომატი, ცოტაა.

– როგორ გგონიათ, ტომეულების გაყიდვით გამომცემლობა მიიღებს მოგებას?

– უფრო იმის იმედი გვაქვს, რომ ჩვენ მიერ გამოცემული ყველა ტომი თავის დანახარჯს დაფარავს, თუ გადაამეტებს, სხვა წიგნის გამოცემას ნაადგება. ისე, უიმედოდ დანყებულ საქმე უიმედოდ მთავრდება ხოლმე. ჩვენ ამგვარ საქმეს უიმედოდ დავინყებდით? არა მგონია.

– რამდენად სტაბილურია გამოცემის ფინანსური წყაროები?

– იმდენად სტაბილური, რომ ჩვენი საქმის შემდგომ გამგრძელებლესაც იმედს არ დაუკარგავს. ეს წყარო ფუფუნების საშუალებას არ იძლევა, მაგრამ იძლევა მუდმივი სტაბილურობის იმედს.

– ვინ ზრუნავს სერიის ტექნიკურ მხარეზე – მაკეტზე, მხატვრობაზე, საერთოდ, დიზაინზე?

– ისევე და ისევე ლევან თითმერიასთან მივდივართ. ისაა ჩვენი მხატვარ-დიზაინერიც და მტკიცე საყრდენიც. კიდევ ერთხელ მაღლობა მას ქართული წიგნის სიყვარულისა და ერთგულებისთვის.

– პირველი მრავალტომეულის გამოცემის შემდეგ ხომ არ ყოფილა შენიშვნები, წინადადებები, სურვილები, რჩევები?


– ჯერჯერობით არა, მერე – ვნახოთ.

– უახლოეს მომავალში რა გამოცემებს მიიღებს ჩვენი მკითხველი?

– ზემოთ უკვე ვთქვი, რომ დაისტამბა ლევან ბრეგვაძის სამი ტომი. მზადაა თამაზ ჩხენკელის პირველი, მეორე და მეთხუთხე ტომები; დავით წერეთლის პირველი და მეორე ტომები; ბაჩანა ბრეგვაძის პირველი ოთხი ტომი; მზადდება თეიმურაზ დოიაშვილის ხუთი ტომი; მალე მზად იქნება ელიზბარ ჯაველიძის პირველი, ალექსი ჭინჭარაულის პირველი სამი, ლერი ალიმონაკის, სოსო სიგუას, გიორგი გოგოლაშვილის, პაატა ჩხეიძის, ანდრო ბუაჩიძის ტომები. დავინყებთ ბესიკ ხარანაულის, დათო მალრადის, ნუგზარ შატაიძის, ვახუშტი კოტეტიშვილის, ზურაბ კიკნაძის და სხვათა ტომეულებზე მუშაობას.

ასე რომ, მკითხველი ბევრ საინტერესო წიგნს უნდა ელოდოს.

ესაუბრა
მალსახ ივანიძე





დაბადების 80 წელი შეუსრულდა ცნობილ მწერალს, ყურნალ „განთიადის“ მთავარ რედაქტორს ავთანდილ ყურაშვილს.

ავთანდილ ყურაშვილი

სოლომონი ზვინიძის მიხედვით

არც სიყვარული იცის, არც სიძულვილი ბოლომდე; არც შებრალება, არც გამეტება ბოლომდე; არც ლხინში ყოფნა, არც ჭირში შესვლა ბოლომდე; არც მართალია, არც უკუღმართი ბოლომდე; არც კეთილია, არც უკეთური ბოლომდე; არც მთლად სუფთაა, არც ნაგვის გროვა ბოლომდე... ბრძენს გული აქვს მარჯვნივ, ბრძანა, ბრიყვს კი მარცხნივ; ამას მარჯვნივ რომ არ უფეთქავს, ცხადზე ცხადია, მარცხნივაც არა ეტყობა გულის...

შენც ასე გინდა, გირჩევნია უგულოდ ყოფნა; ჰო, რატომ უნდა იტყინო იგი, ვისთვის ან რისთვის უნდა იტყინო, თუ ყველაფერი მაინც იქ მიდის, თუ მზის ქვეშეთი ყველას მაინც ერთი ხვედრი აქვს... და შეიძულე ეს ცხოვრება, რადგან გემწარა ყველაფერი, რაც ამ კედლებში, ამ ქუჩებში, ამ ქალაქში, ამ ცის ქვეშ ხდება, დულს და გადმოდულს...

ეკლესიასტე! არ უარყო არაფერი, რაც კი მთხოვოს ჩემმა თვალებმა? არ დავიოკო გული მსწრაფი სიხარულისკენ?! მეც თუ უგნურის ბედი მეწვევა, მამ რადლა ვიყო სხვაზე ბრძენი?

შენი სიტყვები წვერნამახული ლურსმნებია, ქურიდან ახლად გამოღებული, ულტობელ ჯვარზე ჩასაჭედი, გამონრთობილი და ვარვარა ცხელი ლურსმნები. იგი სისხლს ითხოვს, მას ჩემი სისხლი უნდა შეახმეს; ის ჩემს გულს ითხოვს, სურს, ჩემი გული შეეფლითოს.

შენ არ იყავი, რომ ბრძანებდი: ბედნიერად შევრაცხე მკვდარნი იმათზე უფრო, ვინც ჯვრაც ცოცხლობს და ორთავეზე ბედნიერი მაინც ის არის, ვინაც სულ არ დაბადებულა და არ უხილავს ბოროტება, რაც მზის ქვეშ ხდება...

ო, ეს ყმანვილი, ეს ჩვენი სხვა, ჩვენი მონაცვლე, ახლა გზას ადგას, მოდის, მოარღვევს და რა დახვდება?! რაც კი არის თუ კი ყოფილა

და რაც იქნება, თუკი იყო, დიდი ხანია... ისევ და ისევ შენი სიტყვების წვერნამახული ლურსმნებია, მხოლოდ და მხოლოდ ის ვარვარა, ცხელი ლურსმნები – მათ ახალი სისხლი იტაცებთ, მათ ახალი გული იზიდავთ... ო, ეს ყმანვილი, ეს ჩვენი სხვა, მომავალი – ქორფა და ნორჩი! გამზადებული ძელებს და ლურსმნების წერა...

სოლო, სოლომონ, ვხვდები, ძლიერთან დავა არ ღირს... ჩემი წუხილი კი ქვების ქვეშ ცეცხლმოდებული ფიჩხის წიკინს ჰგავს... მინდა, ძლიერი ვიყო შენსავით და ვისაც მზე არ უნახავს, არც რაიმე იცის მასზე, იმ კაცზე უფრო მოსვენებული. არ გამინებთ ჩემი სურვილი? განა საშიში არ ვიქნები და არ ვიმძლავრებ დარდით, ტკივილით გულგასენილზე?!

2.

„მშვენიერი ხარ, სატრფოვო ჩემო, თირცასავით და სანატრელი იარუსალემივით!“ – ჩუხჩუხებს ნაბიჯს აყოლილი ქებათაქება სოლომონისა... თავხოტორას ძუძუებზე იმ ძალით უჭერ, ვიდრე სრულიად არ აიბურთენ, გულის კოვზთან საკმაო ღრმული არ დაინახე.

ჰაერში კი ისევ შენი ხმაა გამდგარი: „გამილე კარი, დაო ჩემო, სატრფოო ჩემო, მტრედო ჩემო, უბინოვო ჩემო!“... ისინი აღარ იბურთებიან, მწიფეშინდისფერად მოკიანთე ნისკარტები წამოუგდიათ, თითქოს, თამბაკოს, ჰაშიშის და ღვინის სურნელით გაჟღენთილ მძიმე ჰაერს კი არა, მთის წყაროს წყალს ახრუბუქებდნენ...

„ღვინოვო!“ – ასეთ შეძახებას ყურმიჩვეული, სვირინგებით ტანმობახტული, ფეხის წვერებზე გამართულად, რწევით მოაჭრის და ყელწერო დოქი უჭირავს... „დამისხი, ფშავლის დედაკაცო, შე ჩემ თავმკვდარო!“ – კვლავ შენს ხმას ასდის სისხლის კენესა, კედლებს ანითლებს. კამკამა ღვინო მობუყბუყვებს დოქის ყელიდან და ძუძუების ჭაში ეშვება.

თითქოს, უდაბნოს მხეცი იყო, გაშმაგებული ხარბად აცხრები. მანამდე თავი დოქზე გიხვდება და ქალს ხელიდან უვარდება, ძირს ენარცხება... ტყვეობიდან თავდაღწეული ბახუსი ჩვეულ სისალუქით გადაიშალა წვივ-ბარძაყებით აჟვერილ ტვერში...

ჰოოო! შენს ამ ბოლო ჩასრუტვაზე, თითქოსდა, ჯადონკელით ანიშნეს, ყველამ ერთად ამოისუნთქა... გამოივსო სივრცე მუსიკით, ატოკდა, ტოკავს მთელი დარბაზი: თეძო თეძოზე ხტის, ტრიალებს, ჭიპი ჭიპზე წრედ ირგოლებს, სხლტის ძუძუები, კალმახურად სხლტინა ძუძუნი... მთელი დარბაზი მოტორტმანე ზღვად გადაიქცა...

3.

თავხოტორამ ხელები მხრებზე ჩამოგადო, გრძნობ, მუსიკას აყოლილი სველი კერტები გულის კოვზის მარჯვნივ და მარცხნივ სასიამოდ აგდევ-ჩამოგდევს, გრძნობ! მხოლოდ ტვინში...

ძალა არ გყოფნის, ლამის, მუხლები მოგეკვეთოს. „მტკიცედ დექ!“ – ყურთან ნაგჩურჩულა, ტუჩებმა ნახად შეგიჩხია ყურის ბიბილო და ენის წვერიც ადი-ჩადის ნიჟარის ღრმულთან...

თითქოს, ფსკერიდან ამოგზიდეს და სათლით წყალი შემოგასხეს, ხერხემლის რყევამ მთელი ძალით კიდურებზე გადაინაცვლა და აბრუნდა თავის ქალაში...

გზარეული ფრინველივით, ფანჯარას რომ შეენარცხება, მოულოდნელად მიანყდი მკერდზე...

– სწორედ იქიდან... ვარდანის ქალი, მა რა გგონია! – ბაგეზე თხელი და უძალი ღიმილი ენთო, თვალში ნალვლის ტბორები ედგა, თეძონი აღარ უტოკავდა, მკერდიც ჩაუცხრა, აღარ აუდ-ჩაუდიოდა... „პატარა დაი ჩვენი, ჯერ არ დამწნევი ძუძუები, რა ვუყო ჩვენს და იმ დღეს, როცა დაუდგება ნიშნობის ჟამი?..“

4.

– გამიყვანეს, დაო, გარეთ, მწვანე ჭალები მომენატრა... „შუშანიკი“ გაკვირვებული შემოგყურებს, მაღალი მკერდი უვარდისფრობს, ღანვებს ალმური მოსდებია: „ახლა კი მართლა მოწიფული ვჩანვარ მის თვალში!“

– გაიქეცი, ბალების მკვიდრო, მეგობრები ელიან შენს ხმას, მასმინე მეცა!.. „რა ვუყოთ, პატარა დაი ჩვენი, ჯერ არ დამწნევი ძუძუები!“ – მშვიდობით დაო, სიყვარულია, რომ ვერ დაშრეტს წელი მრავალი, ვერცა მდინარის წყალი წარცხავს...

5.

ქალისგან თავს ითავისუფლებ, ახლო ბოძი დგას, გინდა მიეყრდნო... ქალაშვა კი ისევ აქ არის, სულ რატრატებს, რაღაცას ყვება, მხოლოდ ერთი დაგამახსოვრდა: „ადრე აქ ღვინის სახლი იყო, ბახუსს შეტრფოდნენ, ახლა კი“...

მოსმენაც აღარ შეგიძლია, ერთადერთი, რაც გსურს და ძალგის: იდგე ჯოხივით გაშუბებული, უსიტყვოდ, ხმის ამოუღებლად და, რა მერე?! თვითონ არ იცი... ხელი უღონოდ აიქნე, მოცილიდიო, ქალს მიანიშნე...

მოიცა ერთი, ამ ძალს რა უნდა, ბოძს რომ უვლის და ადგილს ყნოსავს, განძრევის თავი მაინც გქონდეს, ხედავ, უკანა ცალი ფეხი ასწია... ფუი, ამის!.. ახია შენზე, სწორედ ის ფეხი გაუქნე: „მიგიფსამ პატრონს!“

იგუნება და გვერდზე გახტა, შენ თავი ველარ შეიმავრე

და ბრავანით ძირს დაეხეცე. უუარესის ღირსიცა ხარ: ცოდვილანის გზა ქეთაა სულ მოკირწყლული, მაგრამ ბოლო ჯოჯოხეთის უფსკრული არის...

6.

ხომ მოითქვი სული გემოზე. დიხაც, ღმერთმა გამოგიგზავნა. შენ კი: პატრონი შეუგინე. უმადურობა მეტი გინდა?! „მადლიერი ვარ, უფალო, შენი! უარესიც შეიძლებოდა!“ – ხომ უთხარი, ცაში ასახე. შიგანში კი ბოროტი გდულდა: უარესი რატომ, უფალო! უკეთესი რად არა-მეთქი, ერთიც, მეორეც შენს ხელთ არ არი?! დიხაც, რომ უფლის ხელთაა... თუ განგების საქმე არ არის, რაღა სწორედ იმ ვირისთავს გადაეყარე, რაღა მის დაკრულს ააყოლე შენი დავლური. რა მეგობრობაც გაგინია, ხომ კარგად ნახე, ის უნდა ეგდოს აქ, შენს ადგილზე...

მართლა მადლობა, მაღალო ღმერთო, ძალის მაგივრად ვინმე ორფეხი რომ ყოფილიყო?! არადა, კაციც ხომ იყო, ლომო! ხოშიანადაც ხომ ჩაგმევა მაგ ჩეხურ ტყავის ბათინკებში... გაიხსენე, შენ არ ყვებოდი?: თეთრყირმიზაა სატრფო ჩემი, თმები მისი ოქრო – ხვეული, ტანი – ფინიკის ხე და ძუძუნი – მნიფე მტევენები...

უხმობდი. პოვე და მხოლოდ თხელი მინა გყოფდათ ერთმანეთისგან... ჰო, მამამისი... პირველი ფანჯრის შუქი გადმოჭრა, ზედ ფაისთან, სიბნელისა და ნათლის ზოლის გამყოფ მხარესთან შედგა, ხედავ, ქვედა ტანის ღილებს რომ იხსნის... იგრძენი კიდევ, მოულოდნელი სველი სითბო როგორ ჩადგა ძირგაუტეხელ ბათინკებში და იყო იგი საშინელი, ვიდრე ყაზარმა მოკაზმული ბაირაღებით...

19.

თუ კაცისაგან არის სიკვდილი, კაცისგანევა მკვდრეთით აღდგომა! სოლო, სოლო, რად მიმატოვე... ისლა რჩება, გაქრე აქედან, თუ არადა, აგერ გულბოყვი, მიანექი...

ტვინი ისე გაქვს არეული, ფიქრობ, მხრებზე თავი კი არა, პარლამენტი დულს და გადმოგდულს – მშობლიური, ჩვენი ქართული პარლამენტი, სადაც ძალი პატრონს ვერა ცნობს და პატრონსაც იგივე სჭირს; სადაც მარჯვენამ აღარ იცის, რას იქმს მარცხენა, სულაც: მშვენიერად გაეგება, მაგრამ პირველი შეგნებულად არ ცნობს მეორეს ანდა, პირუკუ: მეორე პირველს აბუჩად იგდებს...

ჯამში: თავისას აწვება ყველა – უსამართლო რომ უსამართლობდეს, ბილნი ბილნობდეს, მართალი რომ მტყუანი იყოს, უწმინდური კი წმინდანობდეს...

ჰკიდათ-მეთქი, ქვეყანა, ხალხი, სინდის-ნამუსი... ხოლო, ახლახან ბჭემესხილი, ცას წვერმიბრუნული სამების ტაძრის ამბიონიდან სახმინანი საგალობლის ღმერთთან შერწყმის და შეერთების მშვიდ მდორვაში, თითქოს, ზეციდან ჩამოგვცახეს: უმჯობესია, დაეყრდნო უფალს, ვიდრე იმედი გქონდეს კაცისა! მითხარით ვინმე: სიმართლეა!

ივანე ჯავახიშვილი

ბრიბოლ შონია

პრეველი

დიდი ფაციფუცია სამმართველოში, ვერა და ვერ დაწყნარდნენ.

დიდი ხანი არ არის, რაც საბოლოოდ ჩამოყალიბდნენ ერთ დიდ საჯარო უწყებად: ფინანსებთან ერთად ფინანსების ძალის-მიერად მოზიდვის საგანგებო-სამაშველო დეპარტამენტი შემოუერთდა, რომელსაც ზოგჯერ საგანგებოს, ზოგჯერ კი სამაშველო დეპარტამენტს ეძახიან.

საგანგებო-სამაშველო დეპარტამენტი-შემოერთებული სამმართველო ქვეყნის უმნიშვნელოვანეს სამსახურად გადაიქცა. ის ყველაზე მდიდარი – ფულიანი და სათანადოდ ფულის შოვნის ადგილი გახდა.

და რა ხდება ახლა ამ ფრიად საჭირო და მნიშვნელოვან სამმართველოში?

ჭორებს რა შეაჩერებს, თანაც როგორი სისწრაფით ვრცელდება.

ამბავი, რომ ახალშემოერთებული დეპარტამენტის ყველა მოადგილემ უნდა დატოვოს თანამდებობა (უფროსი კარგა ხნის წინათ მოაშორეს – „დაინიანურეს“ ახალ თანამდებობაზე), მალე გახდა ცნობილი, ან როგორ დაიმალეობდა იმათგან მაინც, ვისაც ეს განთავისუფლება ეხებოდა.

„შუბი ხალთაში არ დაიმალეობა“, მაგრამ უფრო ქართულია „კაცმა ჭირი მალა, ჭირმა თავი ვერ დამალა“.

ყველა მოადგილემ საკუთარი ხელით დაწერა განცხადება განთავისუფლებაზე, მაგრამ ვინ დაიჯერებდა, რომ ეს ზემოდან მითითებით არ ხდებოდა.

თავისივე განცხადების საფუძველზე განთავისუფლების ბრძანებას დეპარტამენტის უფროსის პირველმა მოადგილემ მოაწერა ხელი (რომელსაც დროებით უფროსის თანამდებობაც მოარგეს), შემდეგ კი ეს მოადგილეც თავის გზას გაუყენეს, ისე, რომ საბოლოოდ ციხეში ამოაყოფინეს თავი.

დეპარტამენტში თავსატეხი არ დაილია. რას არ გააკეთებინებს კაცს სიჯიუტე, როგორც იტყვიან, მოვიდა სეტყვა, დახვდა ქვაო.

ეს გაჯიუტდა, საგანგებო საკითხებში მოადგილე, თავი ქვას შეუშვირა და უარი თქვა, ნებაყოფლობით ნასვლაზე განცხადებას არ დაეწერა. არც ხელშეკრულების გაუქმებას მოაწერა ხელი.

არადა, ამ თანამდებობის გამოთავისუფლება ყველაზე მეტად უნდოდათ.

რა ქნან, რომ კოსტა (გაჯიუტებული მოადგილე) ვერ დაიყოლიეს, არადა, არ არსებობს, როგორც იტყვიან, „გათავისუფლების კანონიერი საფუძველი“.

კანონის აშკარად უგულბებლყოფა არავის უნდა, არავის აძლევს ხელს კანონის გამთელავის სახელს.

– რატომ უნდათ ჩემი გათავისუფლება. ბოლოს და ბოლოს, ეს სამსახური მე შევექმენი, სული და გული ჩავაქსოვე მის ჩამოყალიბებას, – ფიქრობდა კოსტა და ეს ათას ცეცხლსა და ჯოჯოხეთს გამოვლილი კაცი ცოცხალი თავით არ აპირებდა თანამდებობის ნებით დატოვებას. კოსტას მხარესაა ავტორიტეტი, დამსახურება, ღვაწლი.

და მაინც უნდა გაუშვან – მართვის (თუ ხელმძღვანელობის) გუნდური პრინციპი ამას მკაცრად მოითხოვს.

ყველგან თავისი კაცია საჭირო, კოსტას კი ამ პრინციპით არასოდეს უსარგებლია.

– მათ არ სურთ ჩვენს თაობასთან მუშაობა. თვითონ ხომ საფუძვლიანი მომზადება არა აქვთ, ზედამიწის და თითქმის უცოდინარნი არიან, მაგრამ მათთვის არაფერია ჩვენი ცოდნა, გამოცდილება... მოკლედ, არ უნდისარ და გეუბნებიან, რომ უნდა ნახვიდე. – გულისტკივილით უხსნიდა კოსტას უკვე უადგილოდ დარჩენილი მისი კოლეგა.

– და შენც ადექი და ნახვიდი, არც კი შეინიანაღმდეგე, არ მესმის, რატომ? – შეაგება კოსტამ.

– რა, მეყვირა, ეს სამართლიანად არ მიმაჩნია-მეთქი? ეს ხომ სასაცილოდაც არ ეყოფოდათ.

– და შენც დანერე განცხადება წასვლაზე.

– ეგრე! თუ არადა, სულ ცოტა, თანამდებობის ბოროტად გამოყენებაზე, გულგრილობაზე მოგდებენ შარს, უბრალოდ, რატომ გაცვია ორმოცდაათი ნომერი ფეხსაცმელი და შეგაყუდებენ. ასეა ეს!

ამ საუბარმა, ცოტა არ იყოს, დააფიქრა კოსტა, მაგრამ სიჯიუტემ სძლია და შემომთავაზებლები უარით გაისტუმრა. მოკლედ, კოსტა ცოცხალი თავით არ აპირებდა თანამდებობის დატოვებას. უბრალოდ, ამის საფუძველს ვერ ხედავდა და ჩვეულებრივ განაგრძო საქმიანობა, თანაც, რატომღაც, ენერჯის მოზღვავებას გრძნობდა.

არადა, ხმა მოდიოდა, რომ სამმართველოს ახალდანიშნული უფროსი აშკარად იყენებს თავის უფლებამოსილებას გუნდის ინტერესებისთვის, ყველგან ფულია საჭირო და ეს ფული საიდან უნდა მოიტანონ, თუ არა საგანგებო დეპარტამენტიდან, რაც ყველაზე ხელსაყრელია ამ საქმეში და ამიტომაც ამ დეპარტამენტში სჭირდებათ ყველაზე სანდო და ფულის შოვნაში განაფული თანაგუნდელები.

მაგრამ კოსტა მათი კაცი არ არის, თავის ჭკუაზე (თუ უჭკობაზე) ვერ ატარებენ. საქმე კი არ იცდის. ორჭოფობის დრო ამოინურა, ხმაც გავარდა, მის ადგილას „თავიანთი კაცი“ კიდევაც მოიძიესო.

საქმე თითქმის გადაწყვეტილია, მაგრამ სამმართველოს უფროსს რატომღაც ფიქრი ღრღნის, შენუხებულია კოსტას სიჯიუტით. – არ მიღის კოსტა თავისი ნებით, მაგრამ ხომ შეიძლება... – აქ უფროსმა თავის მოადგილეს პერსონალის საკითხებში სიტყვა გააწყვეტინა:

– არა, არ შეიძლება! კოსტას ამბავი განსხვავებულია, ის სულ სხვა კაცია, სხვა ცეცხლსა და უბედურებაში გამოვლილი, – არ მალავს თავის მოსაზრებას სამმართველოს უფროსი. სხვა გზაა მოსაძებნი, რადგანაც იცის, რომ გუნდი შეუვალია, საკვანძო ადგილებზე (და არამარტო) მხოლოდ თანამოაზრენი უნდა დაინიშნონ; აბა, უფულობა ვის მოსწონს – უფულო გუნდმა თუ მთავრობამ როგორ უნდა იარსებოს, ამიტომაც მათთვის არ არსებობს კოსტა და კოსტას გვარი სხვა ავტორიტეტები. მაგრამ არსებობს კანონი საჯარო ხელისუფლების შესახებ, კანონი აღმასრულებელი ხელისუფლების შესახებ და სხვ. ხომ აშკარად ირღვევა მათი მოთხოვნები.

შეიძლება, სხვა დროს ეს სასაცილოდაც არ ჰყოფნოდა ვინმეს, მაგრამ ახლა, როდესაც ეს ამბავი გახმაურებულია, ამ კანონებსაც ასე აშკარად ვერ დაარღვევ.

დავალევა მიღებულია და ის უნდა შესრულდეს.

უნდა გაუშვა ძველი და მოიყვანო ახალი. გუნდში ეს პრინციპია ჩადებული.

კოსტა კი ასეთი არ არის, ის სხვას არ ჰგავს.

– თქვენთან სამმართველოს უფროსი შემოდის, – მოასწრო მდივანმა სელექტორზე მოხსენება.

დაფიქრებაც ვერ მოასწრო, უფროსი შემოვიდა. უჩვეულო და მოულოდნელი იყო მისი სტუმრობა. ვერ გაიგებდი, ეს ვიზიტი სტუმრის თავმდაბლობაზე მიუთითებდა თუ კოსტას დაფასებაზე, ან კიდევ სულაც შეხვედრის მნიშვნელობაზე.

მიუსდინენ მაგიდას პირისპირ, არც მოუკითხავთ ერთმანეთი, ისე გადავიდნენ პირდაპირ საქმეზე.

– ჩემთან უნდა წაგიყვანო. – ასეთი წინადადებისთვის კოსტა მზად არ იყო, უფროსმა კი განაგრძო:

– მე შენ მჭირდება, უფრო კი საქმეს სჭირდება.

– კი, მაგრამ, მე რა უნდა გავაკეთო სამმართველოში? – მიუგო სახტად დარჩენილმა კოსტამ.

– მე შენთვის გამოვითხოვე და უკვე მივიღე სამმართველოს უფროსის სახელმწიფო მრჩევლის თანამდებობის შტატი, – კოსტა გაკვირვებული მისჩერებოდა. – კი, მაგრამ, მე და სამმართველო, და თანაც მრჩეველი... ეს ყველას გაუკვირდება, ხალხს სასაცილოდ არ ეყოფა.

– გიმეორებ, რომ მე შენ მჭირდება იქ! – კოსტა თვალთ ზომავდა სტუმარს, გაკვირვებას ვერ მალავდა, ცოტა ხნის მერე, როგორც იქნა, ალაპარაკდა:

– მე საგანგებო სიტუაციათა ოპერატიული მუშაკი ვარ და აქ, სამმართველოში, თქვენ ვერ დამტვირთავთ, უფუნქციო ყოფნა კი, მოგესხენებათ, მე არ შემიძლია.

– ძალისმიერ ორგანოებთან და სტრუქტურებთან კავშირი, ღონისძიებები მათთან ერთად, მათი მონიტორინგი სერიოზული საკითხია, – განაგრძო სამმართველოს უფროსმა. – არ შეიძლება, ბექაურმა მოითხოვოს ბიუჯეტი და არავინ აკონტროლოს, რათა ვინმემ ვიბეში არ ჩაიდლოს.



ახატვარი იანო ნიკოლაძე

– რად სჭირდება საქართველოს ამხელა ჯარი, ან ვინ იცის, რამდენი სჭირდება. აი, ამაში მოგინევს გარკვევა – ჯარის რაოდენობასა და სტრუქტურაში.

სამმართველოს უფროსი ცდილობდა, თავისი ცოდნა სამხედრო საქმეში გამოეყენებინა: – ჩვენ დღეს გვყავს 30-ათასიანი ჯარი, მაგრამ რამდენად შესასრულებენ ისინი თავის ფუნქციას თუნდაც ისე, როგორც ამას 5-ათასიანი, სპეციალურად განვრთნილი, მატერიალურად და ფინანსურად უზრუნველყოფილი ჯარი შეძლებდა.

– უნდა მოგახსენოთ, რომ ეს ძალიან რთული საკითხია, მასში ძირითადად ჩანედომია საჭირო და ის დროის მოთხოვნათა შესაბამისობაში უნდა განვიხილოთ. ისე კი, – განაგრძობდა კოსტა. – ჯარის ფუნქცია და სტრუქტურა და, შესაბამისად, ოდენობა, ჩვენ, სამხედრო სპეციალისტებმა კი არა, სამხედრო უწყებამ უნდა განსაზღვროს, ეს მისი დანიშნულების საგანია.

– არაფერია, ერთად გავერკვევით, – ჩამოყალიბდა სტუმარი.

– დაფიქრებები და პასუხს ორ დღეში მოგახსენებთ, – დასძინა კოსტამ.

– ესე იგი, ორშაბათს ჩემთან, სამმართველოში ვხვდებით ერთმანეთს, 3 საათზე. შევთანხმდით.

კოსტას შეკითხვებიც კი არ აღმოაჩნდა, ისე მოულოდნელად განვითარდა მოვლენები, იმდენად დამაჯერებელი და საქმის ინტერესიდან გამომდინარე იყო წინადადება, თანაც სამმართველოს უფროსმა დაამატა, შენი სამსახური ცალკე ფლიგელში იქნება, მანქანაც მოგემსახურება და შტატიც რაც შეიძლება კარგად შევარჩიოთ.

კოსტა მალე შეუდგა საქმიანობას ჩვეულებრივად და ენერჯით. პირველ რიგში, გაეცნო ყოფილი სახელმწიფო მრჩევლის ფუნქციებს, მოვალეობებს (არადა, ეს მრჩეველი ყოფილი წამყვანი ძალოვანი მინისტრი გახლდათ), რაც საკმაოდ მწირი და დიდი არაფრის მთქმელი აღმოჩნდა. კოსტამ თავისი შეხედულებებიც ჩამოაყალიბა,

თანაც საკმაოდ მრავლისმეტყველი, საქმის სასარგებლო, და შეხვედრისთვის მოემზადა.

აი, აქ შეიქმნა წინააღმდეგობა, რაც, ცოტა არ იყოს, ძნელად წარმოსადგენი იყო, რადგანაც კოსტას თავის ხელმძღვანელ პირველ პირებთან შეხვედრის სირთულე არ ჰქონია – მათთან პირადი კონტაქტები, რაც ასე საჭიროა საქმისთვის, არასოდეს გასძნელებია.

ახლა კი თექვსმეტი დღეა, რაც წინადადებები მომზადებული აქვს, მაგრამ არავის მოუკითხავს, თითქოს არც ყოფილიყოს ქვეყნად.

კოსტას უკვირდა, თუ რატომ ხდებოდა ასე. კოსტა ფიქრობდა, შეიძლება ახალგაზრდა კაცია და ვერ გაერკვა მრჩეველების ფუნქციებში, მე კი ინიციატივას არ ვიჩენო.

გადანყვიტა, შეხვედრა მოეთხოვა, მაგრამ მალე დარწმუნდა, თუ რა ძნელი იყო მასთან შეხვედრა. ალბათ, ვერ მოიცალაო, იფიქრა, მაგრამ მალე დაადგინა, რომ, ვისთანაც სურს, იმათ ნებისმიერ დროს ხვდება,

საათობით იკეტება კაბინეტის უკანა ოთახში. კოსტასთვის ამის დადგენა განსაკუთრებულ სირთულეს არ წარმოადგენდა, მით უმეტეს, რომ სამმართველოში ეს ბევრმა იცოდა.

ერთხელაც, როგორც იქნა, შეხვდა, უფრო სწორად კი, აიძულა, შეხვედროდა. კვირა დღეს, ღამის ორ საათზე, როგორც იყო, შეაღწია კაბინეტში. უფროსი თითქოს უსმენდა, მაგრამ თვალებს ისე ეშმაკურად აცეცებდა, კოსტა მიხვდა, რომ ის აქ არ იყო, სულ სხვა რამეზე ფიქრობდა, კოსტა კი თავისას „უბერავდა“: – რომ საჭიროა სპეციალური დავალებებისთვის განსაკუთრებული ჯგუფის ჩამოყალიბება; საჭიროა თანამშრომლების დანიშვნა, ბრძანების დაშვება, თანაც თანამშრომლების ანკეტები მიანოდა. უფროსმა – „პატარა ბიჭმა“ – მონაცემებს გადახედა. ეტყობა, კოსტასთან საქმის გართულებას არ აპირებდა და თანხმობა თავის ქნევით დაუდასტურა, საქმეები უკან დაუბრუნა.

„თვალდაუხუჭული მენდობა – წესიერად არც გადაუკითხავს, ისე მოაწერა ხელი ყველას დანიშვნაზე თანხმობას“.

კოსტა შეპვირდა, რომ ამ დღეებში წარუდგენდა დებულებას ამ ჯგუფის შესახებ. იმან – ჯგუფზე ბრძანებას ხვალვე დაეუშვებო და ასე დაშორდნენ ერთმანეთს. გასაკვირია და – კონცით. შემდეგშიც ყველა შეხვედრა გადაკოცნით მთავრდებოდა – ასეთი ჩვევა ჰქონია.

მეორე დღეს, კოსტას გასაკვირად, ბრძანებაზე ხელი არ იყო მონერილი. „ნეტავ, როგორ მოვიდა ეს კაცი ამ თანამდებობამდე, ასეთმა უპირო კაცმა როგორ გამოიარა კარიერულ ლაბირინთებში“, – ფიქრობდა კოსტა.

კიდევ ერთი კვირა დასჭირდა, რომ მის კართან, მისალეში ღამეები გაეთენებინა. და ერთხელაც გამოვიდა კაბინეტიდან, ამერიკაში წასვლამდე მაგ ბრძანებას ხელს მოვანერო. ერთი სული ჰქონდა, რომ დახსნოდა კოსტას.

ლინოზაპრაგი

ბრძანებას მართლა მოაწერა ხელი – დაურეკა მის-
მა თანაშემწემ და მალევე ეს ბრძანებაც ჩამოუტანა.
თანაშემწე ერთი ცანცარა ვინმე იყო. ასეთი
თანაშემწეები ბევრი ჰყავდა, მაგრამ მრჩეველი და
ისიც სახელმწიფო – მხოლოდ ერთი და ისიც ჩვენი
კონსტანტინე-კოსტა გახლდათ.

კოსტამ ბრძანების მოთხოვნათა შესრულება
დაიწყო: შეადგინა კადრების მომზადების პროგრამა
და შეუდგა მათ სწავლებას, უფრო კი – სამმართველო
სახელმწიფოს შესახებ ვეგადე მათ მომზადებას.
ამერიკიდან ჩამოსულს დაუდარაჯდა, როგორც
იქნა, დამთავრდა მიღება და კაბინეტიდან პატარა
დიპლომატით გამოვიდა. კოსტა რომ დაინახა, შე-
ბრუნდა და შეუთანხმდა, რომ შესახვედრად ყოველ
პარასკევს გამოუყოფდა დროს. კოსტამ მომზადე-
ბულ-დამუშავებული დებულება გადასცა.

კარგია, თვალს გადავავლებო.
გადახედეთ და თქვენი მოსაზრება გვითხარით,
ყველაფერს გავეთვალისწინებო, – კოსტამ. – არა
მგონია, აქ თქვენ ყველაფერზე დაგვეთანხმობოთ,
– როგორც იქნა, დებულება დაუტოვა და მშვიდად
ამოიხუნტა.

ეგ იყო და ეგ, ამის შემდეგ კიდევ რამდენიმე
პარასკევი გავიდა, მაგრამ მიღება და საკითხების
განხილვა ვერ შედგა.

დრო რომ გაიწვია, მდივანი-თანაშემწე შეუშვა,
იქნებ, შეახსენოთ, რომ ველოდებით.

ცოტა ხანში ეს მდივანი-თანაშემწე გამოვიდა და
კოსტას უთხრა შენ ნადი და თვითონ დაგირეკავსო.
წამოვიდა კოსტა, რომ თავის კაბინეტში და-
ლოდებოდა. კარგა ხანი რომ გავიდა, ეჭვი შეეპა-
რა, ხომ არ დაგვიწყნებდა. მისაღებად დაბრუნდა,
მაგრამ უკვე წასულიყო. ეტყობოდა, მისაღებად
მის მდივანსა და თანაშემწეებს თანამშრომლების
გაცურება კარგად აეთვისებინათ.

მუშაობა – ლამით, მიღება – გვიან ღამემდე, ეს
წესად შემოდის და, ნეტავ, რას ნიშნავს.

ისე მოქმედებენ, რომ შუბრების შეუსრულებლო-
ბა მართლაც სახელმწიფოს და მის ინტერესებს. აბა,
ამ წესის დამკვიდრებამ რა უნდა მოგვეტანოს კარგი.

– ვაი, ვის ვემსახურები, – შესუხუბულია კოს-
ტა. – ეს რა უბედურებაა, დღისით სამსახურში
რომ არ დადის, მოდის ღამე, „მიღებას“ კი ღამის
სამი საათისთვის ამთავრებს. არა, მე მასთან ვერ
ვითანამშრომლებ.

ვისი მრჩეველი ვარ? ნუთუ ეს არის ის, ვინც
პირველმა შეარჩია, ჩემი შვილიაო. თუმცა რა, არ-
ჩვეა მამინაა საჭირო, როდესაც ასარჩევი გაქვს –
მრავალში რომ უკეთესი აირჩიო.

– აბა, ამას და მისთანებს რა უნდა ურჩიო, –
ფიქრობდა კოსტა. ამ დროს კაბინეტის კარი გაიღო,
სამმართველოს კოლეგიის ძველი წევრი, კოსტას
ძველი მეგობარი შემოვიდა, რომელიც დღე-დღეზე
ელოდება სამმართველოდან წასვლის თავის რიგს.
მათ შორის გულახდილი საუბარი მათი ურთიერ-
ობის წესი გახლდათ და ასე იყო ახლაც.

– გიყურებ და მიკვირს, რაზე გაცდენენ ამხე-
ლა კაცს, ნუთუ შენ თვითონ ვერაფერს ხვდები, –
პირდაპირ აჯახა ძველმა მეგობარმა.

კოსტა გახუჭდა. მისი მდგომარეობა მართლაც
უჩვეულო იყო, გაკვირებული უყურებდა მეგობარს,
მან კი განაგრძო:

– ის მხოლოდ დავალებას ასრულებს, თავისი
პატრონების დავალებას.

– მერე, რა არის ასეთი დავალება, რომელშიც მე
არ შემიძლია გავიყვირო, რომ სწორი რჩევა მიეცე.

– საქმეც ის არის, რომ არ გენდობიან და ამი-
ტომაც შენი არაფერი უნდათ.

– მე და უნდობლობა? ეს მართლაც არ მესმის.

– ხო! ხო! არ გენდობიან, იმიტომ, რომ შენ მას
არ გააკეთებინებ მთავარს.

– რა არის ეს მთავარი!

– ფულის შოვნა, მისი წარმართვა გუნდის ხელ-
მძღვანელებთან, თანაც, ფულის შოვნა ყველა გზით,
ყველა საშუალებით.

– ეგ როგორ!

– დაუკვირდი, იქიდან რაც შენ წამოხვედი, რამ-
დენ ორგანიზაციას დაესხნენ თავს შესამომწებლად.
აბა, რომელიმე საქმე ბოლომდე მიიყვანეს? არა და
არა, მთავარი იყო სახსრების ამოღება, ამოიღეს და
შეესვენენ. აი, ასეა, ჩემი მშაო, შენ კი ასეთი გზებით
არ წახვალ, ეს იციან და, აბა, მრჩეველად რად უნდათ
კაცი, რომელიც ხელს შეუშლის მთავარში, რომ
შეინარჩუნონ ძალაუფლება და თავიანთი სკამები.

– იმედია, ჩვენი საუბარი ჩვენშივე მოკვდება, –
გულუბრყვილო მზერა მიაპყრო მოხელემ.

კოსტას არაფერი უპასუხია, ისედაც გასაგები
იყო ყველაფერი.

მალე თავის სამუშაო ოთახში შებრუნდა, თვა-
ლი მოავლო, შემდეგ საკუთარ ნივთებს, მოუყარა
თავი, წასაღებად მოამზადა და უმალ უფროსის
კაბინეტთან გაჩნდა.

მდივანი მარტო იყო და უფროსთან შეხვედრის
მსურველებს არეგულირებდა მისაღებად.

კოსტამ ცოტა მოიცადა და, როდესაც კაბინეტი-
დან თანამშრომელი გამოვიდა, შემდეგ შემსვლელს
გზა გადაუღობა.

მდივანმა ვერაფრის თქმა ვერ მოასწრო, რომ
კოსტა კაბინეტში აღმოჩნდა.

უფროსი წამოხტა, დაიბნა, კოსტას არ მოელო-
და. ხელი მოკრძალებით ჩამოართვა და მაგიდას-
თან სკამზე მიუთითა, თვითონ მოსასმენად, უფრო
სწორად, გულახდილი საუბრისთვის მოემზადა.

– რიგში ჩადგომო რამ გაფიქრებინა, ნუთუ ამდენ
ხანს ჩემგან ნდობა ვერ იგრძენი?

კოსტა უსმენდა და აკვირდებოდა, ვერ აესხნა –
საიდან ამდენი ეშმაკობა და მოხერხებულობა. ხმას
არ იღებდა, ის კი განაგრძობდა, „უბერავდა“ თუ
რა მისიმა მისთვის მუშაობა, ამ დროს მთავარმა
ტელეფონმა დარეკა. ყურმილი აიღო, ხელი დააფარა
ჩასაძახებელ აპარატს, იქიდან კი ხმა გარკვევით
ისმოდა – ალბათ, სპეციალურად ჩართო ამ რეჟიმში.

– ხომ იცი, ჩემი შვილი ხარ, შენი იმედი მაქვს.
აბა, შენ იცი, როგორ გავრდი შემოსავლებს, სხვა-
ნაირად საქმე არ აენწყობა.

ლაპარაკს მორჩა, კოსტას მოუბრუნდა და
გარკვევით ჩაილაპარაკა: – სულელია ეს კაცი, ფუ-
ლის მეტი არაფერი აინტერესებს და ყოველდღე
ამითია დაკავებული.

უყურებდა და უსმენდა კოსტა ამ კაცს, რე-
მელსაც არაფრად მიაჩნდა თავისი ხელმძღვანე-
ლი, ის ადამიანი, რომელმაც მოიყვანა ამ მაღალ
თანამდებობაზე.

– აბა, მითხარი, რისთვის შენუხებულხარ, –
ერთგვარი მოკრძალებით ჩაეკითხა კოსტას.

ეს კი მიხვდა, ან რა დიდი მიხვედრა უნდოდა,
რომ კაბინეტიდან გამოსულ კოსტას და ბევრ სხვა
მისთანებს არანაკლებ შეამკობდა და თან ყველა
კარგისა და მოკეთის გინებასაც მიაყოლებდა.

კოსტა გამოფხიზლდა, არ უორჭოფია, ისე
მიმართა უფროსს, რომელსაც სიცრუის ფარდა
ჩამოეფარებინა. ამ ფარდით მალავდა სიყალბეს,
რომლითაც გათანგული იყო მთელი მისი პიროვნება.

– იცი რა, აქ, შენთან, ჩემი ადგილი არაა, –
უფროსი გამრა, უნდოდა, ათასი განმარტება მიეცა,
მაგრამ კოსტამ არ აცალა.

– დაურეკე ხასანგურაძეს და უთხარი, რომ
დამაბრუნოსო.

– ეგ როგორ ან სად?

– იქ, საიდანაც მოვედი. ჩემი ადგილი თქვენთან
არ არის და, რაც დროზე წავალ, მით უკეთესი.

უფროსი არ დაიბნა, მიხვდა, რომ გზა ნაპოვნი
იყო; მრჩეველმა, როგორც იქნა, მისცა სწორი რჩევა,
აილო ყურმილი და მოიკითხა ხასანგურაძე, შემ-
დეგ კი: – იცი, კოსტას თავის ბუდეში დაბრუნება
უნდა. გთხოვ, გაითვალისწინო. – შემდეგ განაგრძო
საუბარი ტელეფონში, რაც კოსტას არც ესმოდა,
მთავარი მოხდებოდა – მიდიოდა იქიდან, სადაც
მისი რჩევა არ სჭირდებოდათ.

განა არ იყო საჭირო, მაგრამ, უბრალოდ, რჩევის
მისაცემი არავინ იყო, – ვისაც ეს სჭირდებოდა, მათ
თავისი გზა დიდი ხანია ამორჩეული ჰქონდათ და
ჭკუის სწავლება და დარიგება სრულიად ზედმეტი
იყო...

რატომღაც გაახსენდა, სოფელში ქალები ლო-
ბიოს რომ არჩევდნენ.

ისიც რჩევა იყო, ოღონდ ლობიოსი.

მათ მაშინ რჩევა არ სჭირდებოდათ, რადგა-
ნაც ლობიოს რჩევის დროს თათბირი და ბჭობა
ზედმეტი.

მაგრამ აქ? სადაც ქვეყნის საკითხები წყდება?
უნდა ფიქრი, მაგრამ რაზე – თუ რჩევის გკითხავენ,
მიეცი, მაგრამ, რომ არ გკითხავენ, მაშინ? – ადექი
და ნადი!

რჩევის ეკითხებიან საგანგებოდ მდგომარეობიდან
გამოსასვლელად, მძიმე სიტუაციების დროს, შექმ-
ნილი კრიზისისას. ახლა ხომ არც ერთი იყო, არც
მეორე და არც მესამე, ახლა დამდგარიყო შოვნის
დრო – ყველას უნდოდა, ეშოვნა რაც შეიძლება
ბევრი, თანაც მალე და თანაც უხმაუროდ, ადა-
მიანებისაგან მალულად. პირუთენელი მრჩეველი
არავის სჭირდებოდა.

მინც რა არის ჩვენს თავს, რატომღაც ბევრს ფიქრობ, თუმცა ფიქრს,
დარდს რა გამოუღლებს კაცს, ყველა ფიქრობს და მე რა, გამოაკლისი ხომ
არ ვიქნები.

თავიდან არ ამომდის ერთი ამბავი: ეს კარგა ხნის წინათ იყო. მდინარის
პირას მივსვირნობდი, რომ შევნიშნე ჩემი ბავშვობის მეგობარი, მწვანე მოლზე
მოკალათებული მზეს ფიციხებოდა და წყლის ჩხრილით ირთობდა თავს.
– როგორ ხარ, პანტე? – მივმართე ბავშვობის სახელით.
– დიბრჩინი, ემ დიდა ვარდას.¹ – გულწრფელად მომიგო და გულუბრყ-
ვილო მზერა მომპყრო.
შევამჩნიე, ბავშვური თუ ახალგაზრდული სიანცე რომ დაჰკარგოდა,
სადაც გამქრალიყო.

მოდინა და ნუ იფიქრებ, გამოვლილი გზა და კარს მომდგარი სიბერე
ამის გასაქანს რომ არ გაძლევს.

სიბერე – ეს მოურჩენელი ავადმყოფობა.
ნეტავ სადაა ან სად გაქრა ეს ახალგაზრდობა.
თვალის ჩინსა და ხელისგულის შორის რომ დამეკარგა სიმხნევე, სიხალისე
და თავად მთელი ახალგაზრდობა.
რა უნდა ვქნა მე, დავრდომილმა ბებერმა, როგორი თვალებით შევხედო
ახალ ცისმარე დღეს, რით გავიხარო.
მარტოობის კედელი აღმართულა წინ და ურტყი თავი, თუ გინდა, რაიმე
შეიცვლება?

რას ითხოვს სიბერეში ფეხმადგმული ადამიანი: ყველაზე ცოტას –
ყურადღებას, რომელსაც არავინ იმეტებს.

ცხოვრებამ მიგატოვა, შენ კი სიხარული გინდა, ის სიხარული, ვისაც
შენ ასე უხვად ასაჩუქრებდი ირგვლივ.
გვერდით მხოლოდ ცოლი გრჩება, უთქმელი და ამ მდუმარებას შე-
გუბებული.

მდუმარება კი თავს მოხვეუტია.
აბა, ვინ დაგიბრუნებს ან როგორ უნდა დაგიბრუნდეს ბავშვობის სიხა-
რული, თანატოლების ჟრიალული, ასე რომ ჩაბეჭდილა შენში.

ახატვარი იაზო ნიკოლაძე



შენ კი გინდა, დაგიბრუნდეს. მოგეფერონ ისე, თითქოს ბავშვი ხარ,
ბებერი, მოხუცი ბავშვი.

ვის რაში არგებარ, ან რას მოვლიან შენგან კარგს, სასარგებლოს, ხედავ,
რომ ზედმეტი ტვირთი გამხდარხარ – შვილების, ოჯახის თავზე. შვილიშ-
ვილები ყურს არ გიგდებენ, არ აინტერესებთ შენი გავლილი მით-მოეთი
ცხოვრება იმიტომ, რომ სხვა დროში არიან, სხვა დროში ცხოვრობენ, მათ
კი ნამდვილი მხარდამჭერი სჭირდებათ, შენ კი აბა, როგორ უნდა ამოუდგე
გვერდში, ზოგ უწყებებში რომ არიან, უსარგებლონი, ზედმეტ ტვირთად
ქცეულნი იმ მრჩეველად გადაქცეულხარ, გინდ ყოფილხარ და გინდ არა.

შენ კი ამ დროს ყურადღებას, სითბოს ითხოვ. იმ სითბოს, რომელიც
ასე სანატრელი გამხდარა ყველასთვის და რომლის დანაკლისიც დამდგარა.
შენ კი გინდა, რომ შენმა შვილმა ის სითბო გინილადოს, რასაც შენ ასე
უხვად აძლევდი მას ბავშვობაში.
არ იქნება!
„ვის უნახავს... არ იქნება იანვარში გაზაფხული“, როგორც ეს იმ ღვა-
ნიტების სიმღერაშია, რომელიც ზღაპარივით ტკბილი და თბილი სურ-
ვილებითაა ამოთქმული.
მაშ, არ იქნება.

ვინაა ის, ვინც სიბერეში სიტკბოს ეძებს და ნეტავ მართლაც თუ სჯერა
ტკბილი სიბერისა.

ამას წინათ საღამოს მოკრძალებული პურმარლიდან მობრუნებული
მეგობრები ღლივინით მოვდიოდით. სამინ ვიყავით, სამივე ოთხმოცს გა-
დაცილებულნი. ამ დროს შორიხლო ჩავვიარა ერთმა ახალგაზრდამ და
არ ვიცი, რატომ არ მოეწონა ჩვენი წალიღობა (ურიგო ხმა არცერთს არ
გვექონდა), წამოგვაძახა, თუ თავისთვის ხმამაღლა ჩაილაპარაკა, მაგრამ
ჩვენ გასაგონად კი – „დინოზავრები!“

გავშეშდით, მაგრამ ჩვენში ყველაზე უფროსს მინც აღმოაჩნდა შეკითხვის
სურვილი. ყოველგვარი გაბრაზებისა და წყენის გარეშე, შესაძლოა ხუმრო-
ბითაც, ჰკითხა, – ყმაწვილო, რით დავიმსახურეთ შენგან ასეთი მომართვაო.
ახალგაზრდას არც გაჰკვირვებია, ხუმრობანარევი ღიმილით წამოიძახა
– აბა, სადაა დღეს თქვენნი ი ადამიანები, თქვენ ხომ გადაშენდით და
დინოზავრებად იქცითო.

დინოზავრი და დინოზავრები, – ამ საღამოდან ამყვა ეს სიტყვა, და რო-
დესაც ჩემს მეგობრებს ვხვდები, თუ შევიკრიბებით, თავიდან არ მშორდება.
ჩვენ ხომ მართლაც დინოზავრები ვართ, გადაშენებული და განაშარ-
ხებული.

ასეა ეს და მორჩა!
და შენც იფიქრე, რამდენიც გინდა.

1 დაბეჭდილი, ამის დედა არ იყოს.

დადუნ თურქაძე

ბეჭდის

ნამოქვთი ამბავი

ის იყო ძალღი
ამაყი ჯიშის!

1.

ბინდი ჩამოდგა,
მწუხარე არეს
მკრთალი ნათელი
გადაეფარა,
ბედიაც უმალ
გამოჰყვა მთვარეს,
რადგან სწამდა, რომ
რალაც ებარა!

2.

როგორც სჩვეოდა,
ყურები ცქვიტა,
გახედა ეზოს
პატრონის თვალით,
ეს იყო მისი
ცხოვრების დვრიტა
და მოხდა მისთვის
შეუცნობ ვალის!

3.

მოვლო, ვით ძველი
საიბერიო,
კორპუსის ირგვლივ
კუთხე-კუნჭული,
ნამზე ჩაესმა
მჭახე „ჰერიო“
და ნაცნობ წყვილის
ტკბილი ჩურჩული.

4.

თუმცა დაეთრთვილა
დღეთა დინებას,
თვალდათვალ მაინც
ძლიერი ჩანდა,
უკადრის სიტყვას,
ან მორჩილებას
ვინ აკადრებდა?
ვინ შებედავდა?!

5.

მას არ რგებია
წილად პატივი,
ელისეზე
არ ჩაცუტქულა,
ცხოვრებაც ჰქონდა
მეტად მარტივი:
მოდმესთან სათნო,
მტერთან – დიდგულა!

6.

არ გადაუსვამთ
ძველთაგან სარქლებს,
ცხვრის ბაზრობაზე
ედგა ქედისას,
უეცრად ფარაც,
პატრონიც გაქრნენ
და მერე აღარც
გამოჩენილან!

7.

გულჩათბობილი
დიდხანს ელოდა,
ბედს შენატროდა,
ღრუბლების ფთილას
და, როცა მიხვდა,
ვერვინ შეელოდა,
ისიც თავის ხვედრს
დაემორჩილა!

8.

განსჯის უნართი
სავსე, უშიში
ის იყო სულით
კავკასიელი,
ხან შუბლნათელი,

ხანაც პირქუში,
მოსაგრე,
სუფთა ქართულ იერით!

9.

ამად არც ბჭობდა
არვინ სახელზეც,
რა ნიშნით ერქვა
ნაჭდევე ქედისანს,
ცას დაკიდებულ
იალაღებზე
ყველა ამბობდა –
„ჩვენი, ბედია!“

10.

ჯიშის, ჯილაგის,
როცა ზეობამ
დღეს ერთიანად
დაკარგა ფასი,
მას ისევე ძველი
შერჩა ზნეობა,
ნაღდი, ძალღური
გაგების არსით!

11.

დრომ ვერ აცდუნა
სულით უტეხი,
უერყო მკვიდრი
მთები, გზა-შარა,
ოთხფეხი იყო,
განა ორფეხი?
და ვერ იგუა
უცხო ავმარა!

12.

გზად გადანაყარ
ძველ ნაცნობებშიც
ვერ ჰპოვა შვება
და თბილი კერა,
მიხვდა, გუმანით,
რომ ალალ ძმებში
იყო ქიშპობა
და გულისტკენა!

13.

დიდხანს ვერ დაჰყო
ვერც ჩინოსანთან
(განა სუყველა
ჰგავდა შერბინას!),
წკეპლებით წვრთნიდა,
რომ თავისავე
მოდგმის დაფლეთა
ესწავლებინა!

14.

დააგდო ცირკიც,
ბრიყვ ტიკინასთან
საერთო ენა
ვერ გამოხანა,
ვერ აიძულეს
ფერად ბიკინის
ჩაცმა და, მყუდრო
ბინა მონახა.

15.

აქ „დაუდოსტა“
გულალალ ხარაზს,
მოსწონდა წყვილთან
ერთად ვახშობა,
ჩანდა, რჩებოდა
ჩქერივით ხალას
დღეების მიღმა
მათი ბავშვობა!

16.

ცხოვრობდა ადათ-
წესების გვარად,
არ აკლდა მადლზე
პური ზიარი,
წარმოიდგინეთ,
თავის ჭირ-ვარამს
უმხელდა ხოლმე
მგზავრი გვიანი!

17.

რატომღაც მუდამ
ნაღვლიანს ხდიდა

გალიას შეზრდილ
შაშვის გალობა,
მას დიდ-პატარა
ღვიძლ ძალღად თვლიდა,
და არც ითხოვდა
სხვა რამ წყალობას!

18.

სხვა საფიქრალი
ან კი რა ჰქონდა?
გვიან წვებოდა,
ადრე დგებოდა,
თუმცა, ძველ წყენას
ვერ ივიწყებდა,
პატრონი მაინც
ენატრებოდა!

19.

ეჰ, ვით ახსნიდა
ის ამ იარას,
რომ დრო იმედში
ფუჭად გაჰყავდა,
რომ დღეს პატრონი,
ძალღებს კი არა,
ადამიანთა მოდგმას
არ ჰყავდა!

20.

რაც ახარებდა,
არ ღრღნიდა შური,
როცა ხედავდა
მწვერებს, ქებულებს,
ანდა, შეფუთულს
მაკულატურით
გოშიებს,
მკერდზე მინებებულებს!

21.

მას არ უცდია
იმიჯის შეცვლა
ცხვირის-საჩხრეკად,
პირის-სალემედ,
არ გაყიდულა
ოცდაათ ვერცხლად
და არსებობდა
ნიღბის გარეშეც!

22.

არ ჰგავდა ცნობად
მურიებს ნირით
და „ქუცი, ქუცი“-ს,
არა სჯეროდა,
არც განძს ეძებდა
ნაცარში ცხვირით
და არც სხვის კარზე
ქადას ელოდა!

23.

მრავალგზის სცადეს
„ბირკის“ დადება,
მაგრამ იბრძოდა
თავგამეტებით,
საყელოს, გვარის
ნიშან-ხატებას,
შენნოდა ვერცხლის
ორნამენტები!

24.

ხშირად უჩინო
ცეცხლი დაგავდა,
წესად რომ იქცა
სულის მძოვრობა,
თანდათან მიხვდა,
აზრს რომ კარგავდა
თვისტომს მონყვეტილ
ძალღის ცხოვრებაც!

25.

წუხდა, რომ ღუმდნენ
ჭიუხთ მპყრობელნი,
იყო აღრევა
და გაბახება,
ერთდროს ლომის სწორ
ლეკვთა მშობელნი
რომ იქცნენ ბედმავე,
ქუჩის ძალღებად!

26.

კარგად არჩევდა
ავს და უავესს,
ესმოდა ერთგულ
ძალღის ფუნქციაც,
ყვეფით აფრთხოვდა
ქვეყნის უმაღლეს
კანონზე მომდგარ
ეგზეკუციას!

27.

თუმცა არ იდგა
მთლად სალაფავში
საზრდოც ყოფნიდა
და არც სწყუროდა,
რას გაიგებდა
მავანთა თავში
ყულფის აჩრდილი
თუ ფათურობდა!

28.

ჩამოებანა
სისხლი და ლობრი,
მხოლოდ ყულფს ჰქონდა
ამის უფლება,
მარად „უცოდველს“
და მოსილს ხიბლით
ყულფს, ნოდებულად –
ძალღუფლება!

29.

ჩანდა, არ იყო
გააზრებული
თოკი ყოველთვის,
ყველას საყოფად,
მერე რა, მაინც
გააფთრებული
ცილიობდნენ მასში
თავის გაყოფას!

30.

არ აფიქრებდათ
უაზრო რიგებს
ბედ-იღბლის ცეცხლზე
გმინვა კითხვების,
რომ ყულფზე მიდგმულ
უხილავ კიბეს
რად ესეოდნენ
ბრძენნიც, ბრიყვენიც?

31.

რად შევეჩვიეთ
სხვის ხელის ლოკვას
და კეკლუცს უგვან
ნირს და წესებთან?
რატომ გახურდა
მღრღნელების როკვა
ახლად სულწაღმულ
მუხის ფესვებთან?!

32.

რატომ? სულ, რატომ
ახალ „მესიას“
ვეძებთ და ვეძებთ
დარს თუ ავდარში,
რად ფლობდა უცხო
„ინდულგენციას“
ძველი ქალაქის
ახალ დავთარში?!

33.

რა საწყინარი
ჰქონდა პოეტის
ნაღველს, მიწიერ
„უფალთ“ ნებასთან,
რად ფენდა კრძალვით
მნათობი მაქმანს
ნატო ვაჩნადის
ქანდაკებასთან?!

34.

დრო კი შემძვრალი
ცოდვის ბორბალში
გასდევდა სოფლის,
ბრმად, ლობე-ყორეს
და, ვინც საეროდ

არ იყო ბრალში,
ცელით მის კართან
დგებოდა სწორედ!

35.

ისიც ამ დილით
ვერ წყვეტდა მზერას
მზის ჭავლში ბალი
თვალს რომ ახელდა
და რა იცოდა,
საბედისწეროს,
ნამებს თუ ცრიდა
ეშმა ძახველთან!

36.

უცებ ავბედი
სურათი გაკრთა,
სულ ასიოდე
ადლის მიჯნიდან,
„შეგროლეტის“ ქვეშ,
ზედ საბურავთან,
ყმანველი ნიჩბით
მინას ჩიჩქნიდა.

37.

ბედია შეცბა,
მწარედ აყეფდა,
ჯიქურ მიიჭრა
დახშულ კარებთან,
მაგრამ სალონში
ვენებანი ჩქეფდა
და ახლოს ძალღს ვინ
გაიკარებდა?!

38.

რა უნდა ექნა,
ხედავდა, ფუჭი
იყო მუდარა
და შეგონება,
რომ უცებ, მუდამ
ავად დაცდილი
სახით აემღვრა
ცივი გონება!

39.

საბურავი მგლად
წარმოესახა
და განსაცდელმა
გააბედვინა,
უნდობ „მხეცსა“ და
ბიჭს შორის ჩადგა,
გაოგნდა, ეს ვერ
წარმოედგინა!

40.

ანაზდეულმა
ჯახმა, კვეთებამ
სულ წამით
სუნთქვა შეანყვეტინა...
მაინც დაასწრო,
ბიჭს კბილებით სწვდა,
თავად კი მკერდთან
რალაც ეტკინა!

ეპილოგის
მავიერ

სხვა რალა გითხრათ,
მას შემდეგ ბევრჯერ
ზარმაც დარეკა,
წყალმაც იდინა,
ზოგი ავიდა, ზოგი ჩავიდა,
და, ზოგმაც, კიდევ,
მზის ამოსვლამდე
ვერ მოითმინა!

ჰო, როგორც უთქვამთ:
წყალი დიოდა,
თოვლი სთოვდა და ქარი წიოდა.
ზოგს თბილად ეცვა,
ზოგსაც ციოდა,
და კაცის შვილი აღარ ჩიოდა!

დროც, გატრუნული,
ცოდვის ბორბალში
ჩვენს ეზო-კარზე
მიმოდოდა.

საოუბლო თარიღს ვულოცავთ ჩვენს ძვირფას მეგობარს, შესანიშნავ პოეტს, ქალბატონ ცირა შალაშვილს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას და ახალ შემოქმედებით წარმატებებს.

„ლიტერატურული საქართველოს“ რედაქცია

სირა შალაშვილი

სულთმოფენობის გრილი ნიავი, სულეთის მზერას მავლებს სურნელად, პირმიქცეულა სოფლის სიამე, ღვთივკურთხეულად და უსურველად, დღე ჩამომდგარა ქალაქისტოლა, ჟამია პოვნის თუ ჟამი - ძებნის, ან - რაა პოვნა! - სასრულის ქოლვა, როგორც სიზმარი, წამს გაღვიძების... ჟამუკმარია დრო - წუთის დენდი, დათმენილი და დაუთმინარი, შავი ვარდი დგას, ნითელის გვერდით, მიწყვი მგლოვარი, ნატვრით მღიმარცი! ფიქრის მეჩეჩე, ღამის ყურეში, ცასთან პირისპირ, ვილაღ დავობდა - რატომ არ მეტყვი, ვინ მიქციაო, სიცოცხლედ, ყოფნის არარაობა! სულ დამეჭმეჭმე და გამეცრიცა სააქაო ხორცშესამოსელი, დღენაკლულ წამთა აჩრდილად იქცა, კვალუთვალავი მიმსვლელ-მომსვლელი, ისე დამსეტყვა, ეს - მერამდენედ, მინის ჯვარს მაცვა ბნელმა ელიამ, ელდით დამუნჯდა დღე - სვილისფერი, რა ქნას! გულუხვი სეტყვის რთველი აქვს! თვალს ან გულს ჩემსას, ოდესმე შურდა, სხვისი ნალკოდი და ოაზისი? ხელისგულზე რომ ციცინათელა მენთო, მშვენივრად იცოდი, ისიც! აქამდე, ანუ - ბოლოჟამამდე, საგზლად მომდევდნენ შენი მცენებები, „ჩემი სხვებიც“ მაგ წნავლებით ვზარდე, ნათლის ხილვებით და იმედებით, სასმენელიდან - გულიდან - სისხლში, შეგონებებით და შესიტყვებით... პასუხად, შენგან, ჩქამიც არ ისმის, აღარც კი ვიცი, გზას სად მივყვები... ჩემს თავს არ ვჩივი, იმათ, რა ვუთხრა! სასომხიდილმა, ღამის ვიყვირო! შენი რჩეული, რად იყო მუდამ, შენივე სიტყვის საპირისპირო! აღარ შემოგვრჩა, სხვადასხვაობით, არც მეგობარი, არც ნათესავი, ამ გზაბნეულ დედამინაზე, შენც მარტო დარჩი, მგონი, ჩემსავით! გვიან შევიცან, ყველამ თანდათან, რად დამტოვა და ზურგი მაქცია, შენს ნათქვამს, მალვით იყოფდა ყოფა - ხორცის და სულის დემარკაცია! ჩემს თავთან ერთად, ისე მეცლება დრო - თითებშუა, ჩამოილი ქვიშა, იელვებს ხოლმე, ბნელში ხანდახან, თითქოს, საუფლოს მაძლევდეს ნიშანს, ცაზე ძლივს მოჩანს ახალი მთვარის უღონოდ მკრთალი და სუსტი რკალი, ხელისგულს მინვაგს, ხმა ბოზა ქალის - „აბურდულია ჟამის გზა-კვალი“... ვისთვის დედოფლობს იის აპრილში, ღელვით აღვსილი ნატვრის ვენახი, ვინ უცვლის იერს მაისს და ივლისს და - შემოდგომის მეფე ვინ არი! რაც ფიანდაზად ლოცვა მიგია, სანთლით ნაქსოვ და ნაქურჩულევი, დროს საკუთარი აქვს რელიგია, არ ენაღვლება ჩემი, სრულებით... მარადიული ყოფის ჯვარზე რომ ხარ ფრთებგაკრული და მიჯაჭვული, ტირილი მინდა! ისე სუსტი ხარ, ისეთი სუსტი და დაუცველი, როგორც - სიმართლე ან სიყვარული, ბალახი, ბავშვი - სათნო, უძალო, მუდამ ძველი და მუდამ ახალი, ჟამი უჟამო და სამუდამო... ასე გაკვრია მთებს ამირანი, გარდამოხსნას რომ აქამდე ელის, ამ მოლოდინში წყდებიან წყალნი, ამ მოლოდინში კვდებიან წლები... მზე ჩადის ისე გულდანყვეტილი, არც თვითონ იცის, ხვალ თუ ამოვა,

დღე დახვდა ცივად კარმიკეტილი, ხილულით რომ ვერ ასიაშოვნა... კიდით კიდემდე და ზღვრიდან ზღვრამდე, რა ჯოჯოხეთიც თვალსაწიერობს, მკვდარ სხეულს როგორც აცოცხლებს სული, ისე სჭირდები ყოფნას, - იესო! თორემ, ვილაცას, ვილაცას-მეთქი, თურმე, იმგვარად მოეგუნება, - არ დამრჩა, გესმის? აღარავისთვის, არავითარი ღირებულება!.. „შენ უნდა შენმა თავმა დაგიცვას, შენ ხარ სანუთროს ბატონ-პატრონი!“ - აღარ მასმინო! - ტერფი დამიცდა, სამარტოოა ცის კამერტონი! პეპელა ვნახე წუხელ - სიზმარში, ისე ხატულა, ფარფატა ფრებით! - არ გამოფრინდე! არ გამოფრინდე! - კვებოდა შიშით, ამ გაფიქრებით... ღამის სტრიქონში ტირის ოლოლი, ზეცის სარკმელი, სულ არ ღიაობს და ჩემი მოდგმის თითოროლა, სადღაც თუ მაინც დალოლიალობს, შეძრწუნებული შემოგაღადავებ - ყოვლისმხედვო და ყოვლისმომცველო, მე შევიცვალე თუ - დედამინა, ცა რომ აღარ ჰგავს ღვთის სამლოცველოს! უთარგმნელია სიტყვა „მოყვასი“! ვის ვასმენინებ „ადიშის ოთხთავს“! გადაბრუნებულ წუთისოფლის ქვეშ მომიყვა შუქი მწყემსთა და მოგვთა... დემოკრატიულ დედამინაზე ყოფნის პროსპექტზე და ანწყოს ზემოთ, როგორც სამთვარო, როგორც სამზუო, საკაცობრიო ჯუნგლეთი ზემოთ! შენ რომ გენახა ჩემი ვენახი, მთვარის მტევნებში მზეს რომ ვინახავ, ვიცი, მეტყოდი, მრავალჟამიერ, მე სულ შენთან ვარ, ვიცი, ვინა ხარ! საწყალი ლოცვა! სულ მცდელობს, მაგრამ, ცასთან კავშირი ღამის განყდაო!.. როგორ არ დამწყდეს გული, უფალო, სადღაა, სადღაა, შენი საწყაო! დღე დღეგანდელი, ხვალინდელს, ვიდრე და ღამეც - ახალს, არსაით უხმობს, მთანმინდის სახლის ჟამუცვლელ მკვიდრებს, რა უნდა ვუთხრა, რა ვუპასუხო! შესურჩულედა ცას, ღამის ჩიტი, დამინახა და - უცებ გაჩუმდა... ბავშვობა, ჩემი კვართი ბატისტის, ჯვალის ყოფიერს უდევს სარჩულად... მე კი, სულ გეძებ, წყალსა და ხმელზე, ჩემში, ჩემს შიგნით და სადღაც, გარეთ! სარკიდანაც კი სხვა ვინმე მიმზერს-ვერც დამიმგვანა, ვერც დავიმგვანე!.. როგორ იძალეს მოძულეებმა, სადღა ვეძიო შენი წყალობა... ის მაინც გეთქვა, რად მომესაჯა სიცოცხლედ, ყოფნის ამაოება... 3.07.23

ჩვენებურების დედოფალი



ახალი ქართული კილო: იმერხეული, ტაოური, ნიგალური და ზედა მაცხახლური და წიგნით „ჩვენებურების ქართული“, ჩვენამდე მოიტანა. ქალბატონი შუშანა ფუტყარაძე იკვლევდა ისტორიულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მხარეების - აჭარის, ტაო-კლარჯეთის, ფოცხოვ-ჩილდირის, ერუშეთის ისტორიას, ეთნოგრაფიას, ფოლკლორს, ონომასტიკას, აქაურთა ქართულ მეტყველებასა და დიალექტებს უცხოეთში (კერძოდ, თურქეთში) არსებულ ქართულ კულტურულ მემკვიდრეობას. მისი ხელმძღვანელობით შესწავლილ იქნა და აღინერა სტამბოლის ქართული სავანის ბიბლიოთეკის ნიგანიდი ფონდი და არქივი. მისი ავტორობით შეიქმნა ორი მონოგრაფია „ჩვენებურების ქართული“ და „სტამბოლის ქართული სავანე“, თურქულ ენაზე გამოვიდა ორი მნიშვნელოვანი გამოკვლევა „Istanbul giurcu ocagi“.

აღსანიშნავია შუშანა ფუტყარაძის ღვაწლი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის კვლევაში. მის მიერ ჩატარებული კვლევების შედეგად წარმოჩინდა ამ მხარის ბევრი ისტორიული პირის ვინაობა. ისეთების, როგორიცაა გიორგი ჯვარელი - იერუსალიმის ჯვრის მონასტრის აღმშენებელი; იოანე შავთელი - შოთა რუსთაველის თანამედროვე პოეტი მართა იერუსალიმელი, წამებული მღვდელმთავარი თეოდორე აჭარელი - პირველი საკუთარი სახელით ცნობილი აჭარიდან, ახმედ და აბას ათაბაგები - თავისუფლებისათვის წამებულნი (ფოცხოვიდან), ისკენდერ-ეფენდი

ცივაძე, ნური ეფენდი თავდგირიძე - პოეტი და მეცნიერი, რომლის ლექსები გამოდგა საქართველოში დარჩენილი შვილის ზულფიე თავდგირიძის სკივრში საგულდაგულოდ დიდხანს ინახებოდა, და გალმადარჩენილი დედის გულდათუთქული ლექსი წითელ ნაწნავიან გოგონა, რომელიც ბებიასთან დატოვა 3-4 წლის, ცრემლით იწერებოდა. ცრემლად იღვრებოდნენ ენეერ, ფიქრით და მელაათ ხიმშიაშვილები მონატრებულ ხულოსა და წინაპრებზე საუბრის დროს, დუდი-ხანუმ ბეჟანაძე - ეს სახელოვანი ქალბატონი (შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილის დედა) დაახლოებით ათი წლის განმავლობაში მართავდა ზემო აჭარას 1936 წლიდან 1946 წლამდე. ახმედ-ფაშა ხიმშიაშვილის გარდაცვალებიდან შერიფ-ბეგის დაფუკაცებამდე. ჩვენი ეროვნული სარწმუნოებისათვის მამინ შექმნილ იმ მძიმე ჟამს სწორედ დუდი-ხანუმის მზრუნველობით გადარჩა სხალთის ტაძარი. სწორედ ამათმა ცრემლმა და ნალვებმა დაანერინეს ქალბატონ შუშანას ლექსი: „მენატრები ჩემო ხულო“.

ქრისტიანული პოეზიის XIII ფესტივალი „წმინდა ნინოს ჯვარი“ 4 ივლისს, მწერალთა სახლში, ჩატარდა ქრისტიანული პოეზიის XIII ფესტივალი „წმინდა ნინოს ჯვარი“. ღონისძიება გახსნა ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ ქალბატონმა ლია დაუშვილმა. ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტმა ქართული ლიტერატურის განვითარებაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისათვის ფესტივალის მთავარი პრიზით - „წმინდა ნინოს ჯვარი“ დააჯილდოვა ემზარ კვიციანი. ფესტივალის ჟიურიმ: ზაალ ბოტკოველი (თავმჯდომარე), ვანო ჩხიკვაძე, მაია მიქიაია, აკაკი დაუშვილი ფესტივალის მთავარი პრიზით - „წმინდა ნინოს ჯვარი“ დააჯილდოვა: ლელა გაბური, ელდარ უგულავა, ელდარ ჭიჭიაშვილი, ნათია დაშინანი. ფესტივალის პრიზით - „წმინდა ნინოს ჯვრის მედალიონი“ დააჯილდოვა: ფიქრია ყუშიტაშვილი, მაია მინდელი, მარიამ გოჯიაშვილი, მირანდა ზაბახიძე, როლანდ გიორგაძე. ფესტივალის პრიზით - „წმინდა ნინოს ჯვრის მედალიონი“ დააჯილდოვა: მადეა ჩანქელიანი, მაკა გელაშვილი, თამარ გაბოძე, ირმა ალფაიძე, დალი მახშიშვილი, მაია კახიძე, მაია დიაკონიძე. ქრისტიანული პოეზიის ფესტივალი „წმინდა ნინოს ჯვარი“ იმართება თბილისის მერიის ფინანსური მხარდაჭერით.





მარიამ ხაჩიკიანი

„კეთილი ლიტერატურა“ – ფილმებად

5 ივლისს თბილისში „სასტუმრო „ჯინჯერის“ საკონფერენციო დარბაზში გაიმართა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის „ქართული საბავშვო ლიტერატურა: „დედაენიდან“ სალამურამდე“ პრეზენტაცია გაიმართა.

„კეთილი ლიტერატურა“ – ფილმებად

მა, პროფესორმა ერეკლე ასტახიშვილმა ისაუბრა ფონდის პრიორიტეტებზე, მეცნიერების პოპულარიზაციის საგრანტო კონკურსის მნიშვნელობაზე, რომლის მიზანია მეცნიერების პოპულარიზაცია ფართო საზოგადოებაში; მან აღნიშნა, რომ ფონდი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს იმ სამეცნიერო პროექტების მხარდაჭერას, რომელთა მიზანი ქართული მწერლობის, განსაკუთრებით კი ქართული საბავშვო მწერლობის პოპულარიზაციაა.



პროექტის ხელმძღვანელმა, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორმა, კომპარატივისტული ლიტერატურის ქართული ასოციაციის (GCLA) პრეზიდენტმა, პროფესორმა ირმა რატიანმა ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ აღნიშნული პროექტი რიგით მესამეა მეცნიერების პოპულარიზაციის გრანტის ფარგლებში, რომელიც ლიტერატურის ინსტიტუტმა ბოლო სამი წლის განმავლობაში შეასრულა: „პროექტი ორიენტირებულია ქართულ საბავშვო მწერლობაზე, „კეთილ ლიტერა-

ტურაზე“, სხვადასხვა თაობის წამყვანი ქართველი ლიტერატურათმცოდნეები ჰყვებიან კლასიკოსი საბავშვო მწერლების ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ“. დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართეს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორმა კახაბერ კორძაიამ, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე მაცა ელბაქიძემ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებულმა პროფესორმა ზაქარია ქიტიაშვილმა, აკაკი წერეთლის სახლ-მუზეუმის წარმომადგენელმა ლილა ზაზაძემ, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის კანცლერის მრჩეველმა, მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელმა ნინო ჭალაგანიძემ და სხვებმა.

პროექტის წარმდგენი ორგანიზაცია კომპარატივისტული ლიტერატურის ქართული ასოციაცია, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი; თანამონაწილე და თანადამფინანსებელი ორგანიზაცია კი – კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი.

ნიმე შოთაძე



სულ რომ თან დამდეგს, სულს მივსებს მზე – სიცოცხლისფრად ნაფერი, მთელი სამყარო ნათდება, უფალო, შენი ნათელით.

მანუხებს ყველა გარდაცვლილი პოეტის დარდი, მაფორიაქებს უფრო მეტად ტატოს, ვაჟას და გალას ლანდი, დავხეტიალობ მათი სულის ლაბირინთებში და მათ ფეხთაქვეშ ვარ თავჩარგული „სილაში ვარდი“.

მზეს ნუ ჩაუქრობთ სულში ერთმანეთს, ნუ გამოვიჩინებ გულდრძო ბუნებას, თორემ კოსმოსში გასროლილი ავი ფიქრიც კი ბუმერანგით დაგვიბრუნდება.

ცხელი ავჯინცო

იმ დღეს, როდესაც ცა ტიროდა ცხარე ცრემლებით, ბრძოლის ველიდან გამოჰყავდათ როცა ცხედრები, როცა არესმა ეს ბიჭები ვერ დაიფარა, მწუხარებისგან მოიქუფრა მზე და ჩადრი ჩამოიფარა, ერის მოძღვარმა შემოიხსნა შავი მანტი და შეციებულ გმირ მებრძოლებს გადააფარა.

ნახოვოსწი

გამოვექციეთ ხვატისაგან გათანგულ ქალაქს და გზადაგზა დავეძებთ ჩრდილებს, დაშაშრულ მინას გადაუხსნია ბებერი მკერდი და მწყარალად გვიმზერს... ნამს გადავანყვით იქვე ნასოფლარს და საშინელი ვნახეთ სურათი... დამშრალ გუბეში ყიყინებს მყვარი და მის ამღვრეულ, ელამ თვალეში მოჩანს დანგრეულ საყდრის გუმბათი. ნამოსახლარზე დგას დაღლილი და ამაოებით დასჯილი კაცი, მხოლოდ სიცხისგან უჩრდილაეს ქუდი, კატა გაჩხიკულ თათებს ილოკავს და გაუდია ყავარზე კუდი. ორღობების გადაბლანდულ ეკალ-ბარდებში კი ნადირებით დაშლივინებს აშარი ქარი... დაძმარებულნი დაგბრუნდით უკან, გამოვიყოლეთ სამყაროს და იმ სოფლის დარდი.

პოლიფონიის გაკვეთილები



ნაირა გელაშვილის ეს რომანი, სივრცული თვალსაზრისით, ერთ თემას, ერთ ლოკალს ეხება, იდეური შინაარსით კი პოლიფონიური, მრავალნახნაგოვანი, ფართოპლანიაანი, მასშტაბური ხასიათის ნაწარმოებია.


„პირველი ორი წრე და ყველა სხვა“ მართლაც კონკრეტული, რეალური სივრცეში ვითარდება. ეს არის მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა მთავარი სარედაქციო კოლეგია, რომელიც 1970-იან წლებში, კერძოდ, 1974 წელს დაარსდა ოთარ ნოდის ხელმძღვანელობით და თხუთმეტი წლის განმავლობაში საქართველოს მნიშვნელოვან კულტურულ-ინტელექტუალურ ცენტრს წარმოადგენდა. პერსონაჟებიც რეალური არიან, ოლონდ, რა თქმა უნდა, სახელები შეცვლილი

აქვთ. მკითხველის თვალწინ ჩაივლის 70-იანი და 80-იანი წლების სოციალურ-პოლიტიკური მოვლენები, რომლებიც დღესაც ჩვენი საზოგადოების განსჯის საგანია. პერსონაჟთა ჩანაწერებში, წერილებში, მიმოხერხებასა თუ ნაწარმოებებში, აგრეთვე, ცნობილ ავტორთა ტექსტების ფრაგმენტებში იკითხება საქართველოს აღნიშნული ისტორიული პერიოდი, ადამიანთა სულიერი მდგომარეობა, ეგზისტენციური კრიზისის სურათები და პიროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლის პერიპეტეიები. ავტორი მოვლენებს დაგვიანებებს შიგნიდან, შინა-არსობრივი მხრიდან, რაც გვეხმარება იმაში, რომ სიღრმისეულად გავიაზროთ ახლო ისტორიულ წარსულში დაწყებული სოციალურ-პოლიტიკური პროცესები, რომლებიც დღესაც ზემოქმედებს ჩვენზე.

რომანიდან ჩანს, რომ ამა თუ იმ ინტერპრეტაციაზე გაბრაზებაც კი უკვე სინამდვილის გააზრებაა. და ეს უკვე კარგია, რადგან რეალურად კატასტროფა სინამდვილეზე ურეაქციობას, სინამდვილის გაუაზრებლობას და მის აუთვისებლობას მოსდევს და ისტორიაში თუ თანამედროვეობაში, ასე, გაუაზრებლად დატოვებული ნებისმიერი მოვლენა მერე სასტიკად იძიებს შურს ჩვენსავე მომავალზე.

რომანი მეორედ გამოსცა გამოცემლობამ „პალიტრა L“. გამოცემლობის რედაქტორია მაია ალუდაური, დიზაინერი – სალომე საბანაძე. „პირველი ორი წრე და სხვა“ დაიწერა 1992 – 1994 წლებში. საბოლოო რედაქცია გაუკეთდა და რამდენიმე პასაჟი დაემატა 2008 წელს. რომანში გამოყენებულია ბაჩანა ბრეგვაძის, ლია ნაროუშვილის, თამაზ ბაძაღუას, ზეზუა მდელუამშვილის, ლია ჩლაიძის, ჯემალ აჯიაშვილის, დავით აკრიანისა და სიბილა მგელაძის თარგმანები, აგრეთვე, ლევან ბრეგვაძის რეცენზიები.

2010 წელს ნაირა გელაშვილს ამ რომანისათვის ლიტერატურული პრემია „საბა“ მიენიჭა. ბელა ცინცაძე



ნინო ცოლცავა

მოხდენილად აღკაზმულმა უშიშარმა რაინდმა ელდორადოს ძებნაში დიდხანს იმოგზაურა.

მოგზაურობდა სულ მღერა-მღერით, როგორც მზისით, ისე ბინდში.

მაგრამ დრო გავიდა და მხედარიც დაბერდა... სევდამ მოიცვა, დარდობდა, რომ ვერ მიაგნო ელდორადოს.

როცა დასუსტდა ბოლოს, გზად პილიგრიმის აჩრდილი შემოხვდა. „აჩრდილო, მითხარი, სად არის ელდორადო?“

„მთებს ზემოთ, მთვარეზე ჩემი ორულის ხეობის ქვემოთ, გასწი ნინ თამამად! – მიუგო აჩრდილმა, – იქ არის ელდორადო!“

ინგლისურიდან თარგმნა ქეთევან თუხარაძე

მთავარი რედაქტორი ივანე ამირხანაშვილი
მთავარი რედაქტორის მოადგილე ელისაბედ მებარაქელი
ფინანსური მენეჯერი ქეთევან დამატარაშვილი
კომპიუტერული უზრუნველყოფა: ბელა გველესიანი, მზია პარპაძე
დინამიკური-დამკავალბონებელი, გავრცელების სამსახური პოლდემარ ჰანსი

„ლიტერატურული საქართველოს“ საბანკო ანგარიშის ნომერი: საქართველოს ბანკი, GE43BG000000161665862

საარის სტამბაში
დაბეჭდილია შპს „საარის“ სტამბაში
მისამართი: თბილისი, თევდორე მღვდლის 57
ISSN 2720-8540
7 727 20 8 54 003